სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 3 სექტემბერი 2003 №165 (1936) | ფასი 50 თეთრი

ძველი დარდეზი ახალ სახლში

გუშინ საქართველოს ნაკრები ახალ ბაზაზე ახალი შინაური მწვრთნელებით, შვეიცარიელი ფიზიკულტურის მასწავლებლით და გერმანელ-ფრანგი მზარეულებით შეიკრიბა

იხილეთ მესამე გვერდი

ვილია 1:1 რეალი

რეალმა ქულა გადაარჩინა, ბარსელონა ჯი გამთენიისას 0:1 აგებდა

REUTERS ფოტოსააგენტოდან

დევიდ ბექემი მოედნიდან ყვითელი ბარათით და მცირე ექსცესით გავიდა

US OPEN

კიმი და ჭუჭუნა

ნიუ იორკში არ გადაიღო, ჰოდა, ისევ გადაიდო

REUTERS ნიუ იორკიდან

კიმ კლაისტერსი წვიმას და ფოტორეპორტიორებს ეპრანჭება

ესპანეთი

I დივიზიონი
II ტური
ვილიარეალი 1:1 რეალი
ოსასუნა 0:1 ვალენსია
სოსიედადი 1:1 სელტა

პორტუგალია

სუპერლიგა. III ტური
პორტუ 4:1 სპორტინგი

უელდეთი

სუპერლიგა. XXII ტური
გეფლე 1:2 ასირისკა
ტრელებორგი 2:1 მალმიო

შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი
არბროთი 1:0 რეითი
ეარი 1:2 დამბარტონი
კოუდენბითი 3:0 ალოა
ისტ ფაიფი 0:2 ერდრი
ისტ სტირლინგი 1:2 როსი
ელგინი 0:4 ბრეჩინი
ფორფარი 1:0 ბერიკი
გრეტნა 1:2 პიტერჰედი
ინვერნესი 1:2 ძუინზ პარკი
სტენჰაუზმური 1:2 ძუინი
ჰამილტონი 3:2 ალბიონი
მონტროუზი 2:0 სტირლინგი
სტ. მირენი 0:2დდ. (0:0) სტ. ჯონსტონი

ვილიარეალი — რეალი. დევიდ ბექემს თავი აატკიეს

REUTERS სან სებასტიანიდან

სოსიედადი — სელტა. მასპინძელთა რუსი ვალერი კარპინი (მარჯვნივ) ყოფილ თანაგუნდელებს ფეხდაფეხ შეება

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

საქართველო — ალბანეთი 3:0

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 6 სექტემბერი. 17 საათი

ნეტავ, რა გემო აქვს მოგებას?

ივნისში ირლანდიაში გამართული მატჩის, ანუ თითქმის სამი თვის შემდეგ 21-წლამდელები გუშინ შეიკრიბნენ და საღამოს „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ივარჯიშეს. ამ შესარჩევი ციკლის ბოლო საშინაო მატჩში ჩვენები ალბანელებს უმასპინძლებენ. ქართველებს აქამომდელ ხუთ შეხვედრაში გამარჯვება არ დაუჭაშნიკებიათ და ეგებ ნავსი ბოლნისში გატყდეს.



რეზო არველაძე

გამოძახებულთაგან რევაზ არველაძეს სამი კაცი დააკლდა. მეკარე მანუჩარ ივარდავა, ნახევარმცველები გოჩა ხოჯავა და გიორგი ჭელიძე. სამივე „თბილისის“ მოთამაშეა. ნაკრების მწვრთნელის თქმით, „თბილისის“ თავკაცმა მათი ამჯერად მიწვევა არ ურჩია. მიზეზი სანაკრებოდ მოუმზადებლობაა.

დანარჩენები მწყობრში იყვნენ და მხუთავი სიცხის კვალობაზე საკმაოდ მონდომებით ივარჯიშეს.

მოთელვა-გახურების შემდეგ ბიჭები ორ ნაწილად, რვა-რვად გაყვეს. არველაძე ერთ ჯგუფს შეუერთდა, მეორე კი გოჩა ტყებუჩავას ერგო.

დავალება ასეთი იყო: რვიდან ხუთმა ყვითელმა სამი ნარინჯისფერი პირობით წრეში მოაქცია. ნარინჯისფერების შუაში რიგრიგობით ყვითლებიდან ერთი კაცი შედიოდა და ბურთს მასთან ათამაშებდნენ. ალყაში მოქცეულ სამეულს ართმევა ევალებოდა. ფეხბურთელებმა როლები რამდენჯერმე გაცვალეს. არველაძე და ტყებუჩავა მათგან სისწრაფეს და სიზუსტეს ითხოვდნენ.

ამის შემდეგ ნახევარ მოედანზე ორკარა ფეხბურთი გაჩაღდა. ერთ ნამდვილ კარში მამალაძე იდგა, მეორე კი დაახლოებით ორმეტრიანი და დაუცველი იყო. ლურჯებისა და ყვითლების თამაში ყვითლების გამარჯვებით დასრულდა, რომელთა რიგებშიც ამ სეზონში გამორჩეული მარცვალაძე აქტიურობდა. მინსკის „ლოკომოტივის“ მცველი დავით ბერიანიძე პირობით მეტოქეს უბოდიშოდ ეთამაშებოდა და ორჯერ მისგან წაქცეულს ექიმის დახმარებაც დასჭირდა. ლურჯთაგან ერთი მოხდენილი თავური მამალაძეს მოდებაძემ გაუტანა. ირაკლი თითქმის ორთვიანი უთამაშებლობის კვალობაზე რიგიანად გაირჯა და მთლიანობაშიც თავი არავის დაუზოგავს.

ამის შემდეგ ფეხბურთელებმა წუთი შეისვენეს და ახალი დავალება მიიღეს. მოედნის ერთ ნახევარზე ირაკლი მოდებაძე დარჩა, რომელსაც ინწკირველი მეურვეობდა. მეორე ნახევარზე გუნდი ორად გაიყო. არველაძის გეგმის მიხედვით ყვითლებს ლურჯების წინააღმდეგობა უნდა დაეძლიათ და პირველივე შესაძლებლობისას დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან ბურთი მოედნის მეორე მხარეს მყოფი მოდებაძისთვის მიეწოდებინათ. იქ ფორვარდი მისაღებად, მცველი კი ასართმევად იბრძოდნენ.

ორ-სამ წუთში ინწკირველი ციმაკურიძემ შეცვალა, ის სალუქვაძემ, მერე ბერიანიძემ და ასე მორიგეობით. თავის მხრივ მოდებაძეს ჯერ ბობოხიძე ჩაენაცვლა, შემდეგ კი ახალაია.

ეს ვარჯიში რომ მიილია, ფლანგებიდან ჩაწოდებას და ერთი შეხებით კარში დარტყმას შეუდგნენ. ნიკა ჩხეიძისგან ისედაც ქანცგაცლილ მამალაძეს ცხრაპირი ოფლი ადინეს.

ამას აჩქარება-ბიძგების და უკუსვლითი სავარჯიშოები მოჰყვა და ვარჯიშთა მთელი ეს თაიგული ბოლოს განტვირთვით დასრულდა. ბიჭებმა ბუცები დაბერტყეს, ჩანთები დითავისეს და წავიდნენ, ჟურნალისტებს კი რევაზ არველაძე შეეკრიბა...

„ზოგი ნამგზავრი და ცოტა დაღლილია. მიუხედავად ამისა, მონდომება არავის დაუკლია. ხოჯავა, ჭელიძე და ივარდავა გამოგვაკლდნენ, ფაქტობრივად, ერთი მეკარის ამარა დავრჩით, შევსებას „ბათუმიდან“ ველით. ზღვისპირელთაგან ივარდავას ნაცვლად ალბათ ირაკლი ბალაძეს დავიმატებთ. მის გარდა შესაძლოა კაკალაძეს ვუხმოთ.

ალბანელთა თამაში რამდენჯერმე ვნახე და შაბათის მატჩამდე კიდევ გავარჩევ. უფრო ძალისმიერი ფეხბურთს ეტანებიან. რასაკვირველია, მოსაგებად ვითამაშებთ. ბიჭების იმედი მაქვს, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ყველასთვის თანაბარია, შაბათამდე „ლოკომოტივს“ ვეთამაშებით და ფეხბურთელთა მზადყოფნა უფრო კარგად გამოჩნდება. მთლიანობაში ნაკრებში ჩემი მუშაობით უკმაყოფილო არ ვარ და უგულობას ვერც მოთამაშეებს დავწამებ. ისინი ყოველ მატჩში შესაძლებლობის ზღვარზე იბრძვიან და ასე იქნება ალბანეთთანაც“.

ვაჟა ხუციშვილი
გურამ დოლენჯაშვილის
ფოტოები



დავით სირაძე



ლადო ახალაია

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

საქართველო – ალბანეთი

თბილისი. ეროვნული. 6 სექტემბერი. 21 საათი

პირველი ღამე

ნაკრებთან ორი უცხოელი იმუშავებს: ფრანგი და გერმანელი მზარეულები

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები საალბანეთო სამზადისს შეუდგა. მერაბ ჟორდანიამ გუნდი ნაკრების ახალ საწვრთნელ ბაზაზე შეკრიბა. ჯერაც დაუმთავრებელ ბაზაზე ფეხბურთელები საღამოს ხუთი საათისთვის შეიკრიბნენ. ნაკრებს მხოლოდ ორი წევრი, გერმანული „შალკეს“ ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი და კვიპროსის აელელი, დებიუტანტი ლევან მაღრაძე აკლდნენ, რომელთაც თბილისში ჩამოსვლა დაუგვიანდათ. ჩამოვიდა ნაკრებში დაბრუნებული გოჩა ჯამარაულიც, მაგრამ დონეცკის „მეტალურგის“ ქართველ კაპიტანს მარჯვენა კოჭი აწუხებს და მისი ალბანეთთან თამაში ჯერჯერობით სათუოა.

მერაბ ჟორდანიამ და მისმა თანაშემწეებმა ფეხბურთელებს საკმაოდ ხანგრძლივი კრება ჩაუტარეს. ჩვენ კი ამ დროს საქართველოს ნაკრების ახალი სახლის დათვალიერების საშუალება მოგვეცა: ბაზის ძირითადი ნაწილი თითქმის დასრულებულია. ერთი სტანდარტული ზომის ბუნებრივსაფარიანი მოედანი მწყობრშია, შენობას კი წუნს ნაღდად ვერ დასდებთ: სამზარეულო, სასადილო, სატრენაჟორო, აუზი, გასახდელები, საშხაპეები... ეს ყველაფერი უმაღლეს დონეზეა გაკეთებული.

— ალბათ ერთი წელი კიდევ დაგვჭირდება, რათა ბაზამ სრულყოფილი სახე მიიღოს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილი უნდა ვიყოთ — გვითხრა საწვრთნელი ცენტრის დირექტორმა შოთა ხინჩაგაშვილმა.

ახლა ყურადღება მეორე ბუნებრივსაფარიანი მოედნის მოწყობაზეა გამახვილებული. იქვე, ახლოს, საჩოგბურთო კორტის გაკეთებაცაა დაგეგმილი, რასაც ხელოვნურსაფარიანი მინი-ფეხბურთის მოედანიც დაემატება. ბაზაზე მიმდინარე სამუშაოებს კომპანია „თბილისი“ ასრულებს.

და ერთიც, ალბანეთთან სათამაშოდ შეკრებილ ეროვნულ გუნდს ქართველებთან ერთად საგანგებოდ მოწვეული ფრანგი და გერმანელი მზარეულებიც ემსახურებიან.

ბაზის დათვალიერებას ამით მოვრჩით და საღამოს, შვიდ საათზე ნაკრები ეროვნულ სტადიონს მიადგა სავარჯიშოდ. თავიდან საქმეში ფიზმომზადების შვეიცარიელი სპეციალისტი ალექსის პაპანდრიუსი ჩაერთო და ფეხბურთელებს ნაირ-ნაირი სავარჯიშო ილეთებით „მოაწონა“ თავი. მხიარულმა ალექსისმა ლამის სიქა გააძრო ბიჭებს, რომელთა მხარდამხარ მერაბ ჟორდანია და მისი თანაშემწეები — მიხეილ ყაველაშვილი და თემურ ქეცბაიაც აქტიურად ვარჯიშობდნენ.

მწვრთნელთა განკარგულებაში მყოფი 21 ფეხბურთელიდან ოთხი — შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი დემეტრაძე და ალექსანდრე იაშვილი განცალკევდნენ და მხოლოდ ირბინეს. ისინი თბილისში რამდენიმე საათის ჩამოსულები იყვნენ და დატვირთვასაც ამის გამო აარიდეს თავი. ცხადია, ვერ ივარჯიშა ტრავმირებულმა ჯამარაულმა.

ორმოცწუთიანი უბურთო წვრთნის შემდეგ ალექსის პაპანდრიუსმა ბიჭები ჟორდანია-ყაველაშვილ-ქეცბაიას გადააბარა და მათაც ჯერ „პრესინგი“, მერე კი მინი-ფეხბურთი ითამაშეს. საათნახევრიანი ვარჯიშიც ამით დასრულდა.

ფეხბურთელებთან გასაუბრება არც ისე იოლი გამოდგა. ნაკრების წევრები სწარაფად გაეშურნენ გასახდელებისკენ, თუმც ორ მათგანთან, გიორგი დემეტრაძესთან და მიხეილ აშვეთიასთან გამოლაპარაკება მაინც მოვახერხეთ.

გიორგი დემეტრაძე:

— ალბანეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს და ძნელი მატჩი გველის. მაგრამ მაინც მოსაგებად ვიბრძოლებთ. რას ვიზამთ, ძნელი სათქმელია. მთავარია, მოგებისთვის თავს არ დავზოგავთ. მართალია, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი ძალიან მცირეა, მაგრამ სანამ არის, მანამდე უნდა ვიფიქროთ მის გამოყენებაზე. თუ თბილისში მოვიგებთ, ალბანეთში უფრო მობილიზებული ჩავალთ, ხასიათიც გამოგვიკეთდება. თუმც ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა, ახლა მხოლოდ საშინაო მატჩზე უნდა ვიფიქროთ.

მიხეილ აშვეთია:

— „ლოკომოტივში“ საქმეები კარგად მიგდის და ალბათ ნაკრებშიც მშვენიერ ხასიათზე ჩამოხვედი...

— ჰო, მაგრამ ის კლუბია და ეს ნაკრები. ახლა მხოლოდ ალბანეთის დამარცხებაზე ვფიქრობ. საამისოდ არაფერს დავიშურებთ.

— რუსულ პრემიერლიგაში შედეგიანად ათამაშდი და, ცხადია, გოლების სერიის ნაკრებში გაგრძელებაზეც არ იტყოდი უარს...

— მთავარია მოვიგოთ. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გაიტანს გოლს. ჩვენ მოგება გვჭირდება, გულშემატკივარს ეს აინტერესებს და ვინ შეაგდებს, მეორეხარისხოვანია, თუმცა, ცხადია, გოლზე უარს არ ვიტყვი.

— ალბანელებზე რას იტყვი?

— სერიოზული გუნდი ჰყავთ. აგერ, რუსებს 3:1 რომ მოუგეს, მათი ძალა მაშინაც კარგად გამოჩნდა. ამიტომ სიფრთხილე და დიდი მონდომება გვმართებს.

ძალა შალამბერიძე

ბადრი ძეთილაძის *ფოტოები*





ქართველებს ფიზიკურად შვეიცარიელი ამზადებს





საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
6 ტური

ბათუმი 1:0 თბილისი
ტორპედო 3:1 ლოკომოტივი
პოლხეთი 0:2 ვიტ ჯორჯია
სპარტაკი 2:1 მცხეთა
დილა 2:0 სიონი
დინამო 8:1 მერცხალი

დაუნდობლობა და აღმოჩენილი მარცვლები ქუთაისს

ტური იმით გამოირჩა, რომ თბილისის „დინამომ“ ლიდერობა დაიბრუნა, აუტსაიდერმა „სპარტაკმა“ კი პირველად გაიმარჯვა — სხვა რამ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ წვრილ-წვრილი ამბებიც როდია უმნიშვნელო.

ლადო ახალაიამ ამ ჩემპიონატში მეორე ჰეთ თრიქი მიითვალა და ბომბარდირებში კარგი ფორითაც დაწინაურდა. დინამოელებს არანაკლებ უნდა უხაროდეთ ლევან მელქაძის სამი გოლიც — მისი და ახალაიას ღუეტი პოტენციურად საუკეთესოა საქართველოს ჩემპიონატში და, ვინძლო, ჩემპიონის ბედიც გადაწყვიტოს. თუმც „დინამოს“ რატი ალექსიძეც ჰყავს, რომელიც მალე დაიწყებს თამაშს. 8:1 — ასეთი ანგარიშით დაამარცხეს შუშაკელებმა ოზურგეთის „მერცხალი“ და დაუნდობელი მკვლელის ინსტინქტი თუ არ გაუნელდათ, „დინამოს“ შემჩერებელი ვინღა უნდა იყოს?

ამ კითხვაზე ჯერჯერობით ერთი პასუხია — ალბათ „ვიტ ჯორჯია“ თუ შეძლებს, „დინამოს“ ჩემპიონობისთვის ეპაექროს. ვეტერინარებმა ძალიან პრინციპული და წონადი გამარჯვება იზეიმეს ფოთში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ფოთელებმა შინ „დინამოს“ 2:1 მოუგეს მესამე ტურში. ვეტერინარებს სეზონის აღმოჩენაც უნდა შევუქოთ — ოთარ მარცვალაძე „ვიტ ჯორჯიას“ წარმატებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია. მან ფოთში კვლავაც კარგად ითამაშა და ერთი გოლიც შეაგდო — მარცვალაძე უკვე ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა და ალბათ ალბანეთის წინააღმდეგაც ვიხილავთ. „ვიტ ჯორჯიას“ ძალიან წაადგა ორი დაბრუნებულიც — რევაზ გოცირიძე და გიორგი დეკანოსიძე.



ზურაბ ბერიძე და „ვიტ ჯორჯია“ სტაბილურობენ

ბაჩანა ჯობავა/ფოტო

ბაჩანა ჯობავა/ფოტო

დინამო — მერცხალი. მასპინძლები სტუმრების კარში შედი-გადიოდნენ

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი რევაზ არველაძე კი დავიდარაბაშია. მისი გაწვრთნილი „ლოკომოტივი“ ჯერაც დაულაგებელია — აქეთ ტრავმები, იქით ფეხბურთელთა წასვლა-მოსვლა და „ლოკომოტივმა“ სეზონში მესამედ წაგო. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც — ფეხბურთელებმა ძალიან უნიათოდ ითამაშეს, შეუპოვრობაში და თავგანწირვაში მეტოქეს აშკარად ჩამორჩებოდნენ, ხოლო „ტორპედომ“ ამ კომპონენტში ივარგა და დამსახურებული სამი ქულაც გამოჭედა. მოგვხედეთ! ამ მოგების შემდეგ „ტორპედოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელები ალბათ უფრო ხმამაღლა გამოსცემენ სამაშველო სიგნალს — ქუთაისელებს ყველაზე უფრო ახლა ფული სჭირდებათ.

ხანმოკლე აღზევების შემდეგ თამაშს უკლო „მცხეთამ“ და „სპარტაკთანაც“ ამად წაგო. მცხეთელები შესაძლოა ზედმეტმა თავდაჯერებულობამაც დააღალატა, მაგრამ ვლადიმერ პანოვის გუნდს იმ დღეს წარმატება არ ეწერა. ვასილ ჭეიშვილის „სპარტაკისა“ კი აწი ვნახოთ — სპარტაკელებმა მხოლოდ პირველი გამარჯვება კი არ მოიპოვეს, პირველი გოლებიც გაიტანეს უმაღლეს ლიგაში.

დაძაბული მატჩი იყო ბათუმში. აჭარელებმა რთულ თამაშში დაიიღლიავეს სამი ქულა. მთავარი კაცი ვიტალი დარჩიძე გახლდათ. მას არაერთხელ გაუტანია გამარჯვების მომტანი გოლები. ამჯერად მან 11-მეტრიანით შეაგდო. როგორც „ბათუმის“ მწვრთნელთაგანმა ასლან ბალაძემ თქვა, დარჩიძის სასტარტოში არდაყენება ტაქტიკურ ფანდი იყო — ვიტალიმ მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა. რაც შეეხება ბათუმში წაქცეულ „თბილისს“, კულუარული ინფორმაციით ამ გუნდის გაწვრთნას ჯანი კარნევალი ეშურება, თუმც ვნახოთ...

გორში დამარცხდა და ლიდერობას გამოეთხოვა „პუხოვის“ მიერ გამწარებული „სიონი“ — ბოლნისელები პირველად დამარცხდნენ მე-15 ეროვნულში. თანაბარი თამაში იყო, მაგრამ „სიონს“ თავდასხმაში აშკარად აკლდა სიმწვავე. თემურ მახარაძემ წინ ეულად ბორის გონჩაროვი გაამწესა. ბოლნისელებს ერთი კარგი ფორვარდი ნაღდად არ აწყენდათ, თუ, რა თქმა უნდა, სერიოზული მიზნები ამოძრავებთ. ფორვარდი „დილასაც“ ერთი ჰყავდა, მაგრამ გოლების გატანა მერაბ ძოძუაშვილის უკან მოთამაშე საბა სულთანიშვილმა იკისრა.

დავით თავართქილაძე



№	გუნდები	სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	დინამო	6	4	1	1	19:3	16	13	4	3	1	0	17:1	16	10	2	1	0	1	2:2	0	3
2	ვიტ ჯორჯია	6	4	1	1	13:4	9	13	3	3	0	0	11:1	10	9	3	1	1	1	2:3	-1	4
3	სიონი	6	3	2	1	9:5	4	11	2	2	0	0	6:1	5	6	4	1	2	1	3:4	-1	5
4	დილა	6	3	1	2	9:5	4	10	3	3	0	0	7:1	6	9	3	0	1	2	2:4	-2	1
5	პოლხეთი	6	3	1	2	6:4	2	10	4	2	1	1	5:3	2	7	2	1	0	1	1:1	0	3
6	ტორპედო	6	3	1	2	6:5	1	10	4	3	1	0	6:1	5	10	2	0	0	2	0:4	-4	0
7	თბილისი	6	2	1	3	9:8	1	7	2	1	1	0	3:2	1	4	4	1	0	3	6:6	0	3
8	ლოკომოტივი	6	2	1	3	8:9	-1	7	3	1	1	1	3:3	0	4	3	1	0	2	5:6	-1	3
9	მცხეთა	6	2	1	3	7:15	-8	7	2	2	0	0	5:3	2	6	4	0	1	3	2:12	-10	1
10	ბათუმი	6	2	0	4	4:9	-5	6	3	1	0	2	2:4	-2	3	3	1	0	2	2:5	-3	3
11	მერცხალი	6	1	1	4	6:17	-11	4	3	1	1	1	3:3	0	4	3	0	0	3	3:14	-11	0
12	სპარტაკი	6	1	1	4	2:14	-12	4	3	1	0	2	2:5	-3	3	3	0	1	2	0:9	-9	1

ბომბარდირები

8 - ახალაია	*დინამო*
5 - დავითაშვილი	*თბილისი*
გოცირიძე	*ვიტ ჯორჯია*
4 - მელქაძე	*დინამო*
3 - გონჩაროვი	*სიონი*
სულთანიშვილი	*დილა*

სტატისტიკა

ჯარ.	კუთხ.	კარისკენ	კარში	თამაშგ.
77	58	71	59	14
95	35	40	48	32
102	25	33	37	18
99	31	33	31	14
96	22	27	31	27
76	30	31	35	15
121	32	32	32	23
84	21	26	26	10
97	14	23	22	24
95	15	21	12	13
111	20	21	17	18
98	20	28	22	18

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
7 ტური

თსუ 2:0 ლოკომოტივი 2

მეტალურგი 0:1 გურია

სამგურალი 2:0 დინამო 2

გორდა	3	3	0	0	8:3	9
თსუ	3	2	1	0	5:2	7
ოლიმპი	3	2	1	0	3:1	7
დინამო 2	3	2	0	1	5:3	6
ქობულეთი	3	2	0	1	4:3	6
გურია	3	2	0	1	3:2	6
სამგურალი	3	1	2	0	3:1	5
ცხინვალი	2	1	1	0	2:1	4
ვიტ ჯორჯია-მცხ.	3	1	1	1	2:2	4
მილანი	3	1	0	2	2:3	3
ივერია	2	1	0	1	3:5	3
ლუკა	3	1	0	2	1:3	3
ამერი	1	0	0	1	0:1	0
ჩიხურა	3	0	0	3	1:4	0
ლოკომოტივი 2	3	0	0	3	1:5	0
მეტალურგი	3	0	0	3	1:5	0

ლეგენდის მოშორება

ანდრეი შევჩენკომ (მარჯვნივ) სერია დუბლით დაიწყო

იტალია

სერია A. I ტური

ანკონა 0:2 მილანი

0:1, 0:2 შევჩენკო (30, 76)
ანკონა: სკარპი, ბილიკა, ვიალი, მილანეზე, რუსო, ბერეტა, კარუსი, მაინი (ბრუნო 54), სუზი, დი ფრანჩესკო (სომესე 79), უბნერი (განცი 57)
მწვრთნელი: ლეონარდო მენიკინი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო, პირლო (ამბროზინი 63), სერჟინიო (ზეედორფი 78), კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ლაურსენი 62)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, სერჟინიო
გაძევება: ბილიკა (58), მალდინი (58)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა
24 000 მაყურებელი

წლეულს იტალიაში სკუდეტოს კანდიდატთა ვინაობა აშკარად არის გამოცხადებული. კვირას, პირველ ტურში, ამ კანდიდატთა ჯგუფის წევრებმა სამ-სამი ქულა მიიწერეს, ხოლო ერთადერთი, ვისაც თამაში სერია A-სთვის უჩვეულო დღეს, ორშაბათს ჰქონდა დანიშნული, „მილანი“ იყო — დანარჩენებს არც ის ჩამორჩა — ანკონაში 2:0 მოიგო, თუმცა ეს შეხვედრა იმითაც გახდა მნიშვნელოვანი, რომ მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ, მოედნიდან არც მეტი, არც ნაკლები, გასულ ხუთშაბათს უეფას პრეზიდენტის საგანგებო პრიზით დაჯილდოვებული, ამთავითვე ლეგენდარულად შერაცხული, პაოლო მალდინი გააძევა.

მოგეხსენებათ, პარასკევს, ზემოხსენებული დაჯილდოვების მეორე დღეს, „მილანმა“ მონაკოში „პორტუს“ ევროპის სუპერთასი მოუგო. იმ შეხვედრასთან შედარებით კარლო ანჩელოტიმ შემადგენლობა ერთგვარად შეცვალა. მან მოედანი მთელი თამაშით დაუთმო ახალშეძენილ ბრაზილიელს, კაკას. ფილიპო ინძაგიმ კი 62 წუთი ირბინა, რაც ერთობ გასაოცარი გახლდათ, ვინაიდან ყველა ელოდა, რომ ანჩელოტი ინძაგის მაგივრად რივალდოს ათამაშებდა, მან კი მოედანზე მარტინ ლაურსენი შეუშვა.

„ანკონას“ თავკაცმა, ლეონარდო მენიკინიმ „მილანისთვის“ წინააღმდეგობის გაწევა ერთი თავდამსხმელის ხარჯზე ნახევარდაცვაში მოთამაშეთა რაოდენობის გაზრდით იფიქრა. ანკონელთა თავდამსხმელი იმ დღეს დარიო უბნერი იყო, რომელსაც მასზე მეტი ვეტერანი, ეუსებიო დი ფრანჩესკო ეხმარებოდა.

კაკას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრის პირველი მომენტი მან შექმნა — სწრაფი კონტრშეტევის დროს ბრაზილიელმა 25 მეტრიდან დაარტყა და მასპინძელთა ძელს გაარტყა ბურთი. სხვათა შორის, ერთ-ერთი ბოლო მომენტიც კაკასი იყო.

ბრაზილიელი კაკას (მარჯვნივ) „მილანურმა“ დებიუტმა იტალია სასიამოვნოდ გააკვირვა

მატჩის ორივე გოლი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა. პირველად, 30-ე წუთზე დაარტყა უკრაინელმა. გვარიანად შორიდან, მაგრამ ბურთს გეზი არ შეშლია, მეკარე სკარპის წინ დავარდა, მასპინძელთა კარის მცველს გადაახტა და ბადეში ამოჰყო თავი. აქ სკარპის უკეთ თამაშიც მართებდა, მაგრამ ყველაფერი ხდება.

მეორე გოლი 76-ე წუთზე შევარდა: კაკას პასმა კაფუს მიმართულებით მასპინძელთა დაცვა გაბზარა, ხოლო კაფუს ჩაკიდებული ბურთი შევჩენკომ დაიმორჩილა და შეაგდო კიდეც.

და ბოლოს მალდინის გაძევების შესახებ: 58-ე წუთზე მილანელთა საჯარიმოში ატეხილმა ძიძგილაობამ „შავ-წითელთა“ კაპიტნის და ფაბიო ბილიკას მოედნიდან გაგდება გამოიწვია.

ბაკუნა ძიდია

კივუ გაქირავდა

ამსტერდამის „აიაქსი“ რუმინელი კრისტიან კივუს „რომასთვის“ სესხებას დათანხმდა' — კლუბებმა საერთო ენა გამონახეს. არადა, ორშაბათს ჰოლანდიელები ამბობდნენ, რომ რუმინელის 18 მილიონ ევროიანი ტრანსფერი ჩაშლილია — მათი განცხადებით, იტალიელებმა საბანკო გარანტიები ვერ წარადგინეს.

„ახლებური ვარიანტის თანახმად, „აიაქსი“ და „რომა“ კრისტიან კივუს დაუყოვნებლივ სესხებაზე შეთანხმდნენ, იტალიელები კივუს ოთხი თვით დაიქირავებენ. ეს 2003-2004 წლების სეზონის ზამთრის არდადეგებამდე გაგრძელდება, ამასობაში კი კლუბები საფუძვლიანი ტრანსფერის ვარიანტს მოიფიქრებენ“ — განაცხადეს „აიაქსის“ ოფისში, ოღონდ ოთხთვიანი ქირაობის ფინანსურ მხარეზე არაფერი უთქვამს.

მოგეხსენებათ, 8 ივლისს 22 წლის კივუმ ხუთწლიან ხელშეკრულებაზე მოუწერა რომაელებს ხელი, მაგრამ ორი დღის შემდეგ ფიფამ, საერთაშორისო სატრანსფერო ნორმების დარღვევისთვის „რომა“ სატრანსფერო საქმეებიდან მოკვეთა, შემდეგ კი ამსტერდამელებს იტალიელთა საბანკო ამბებში შეეპარათ ეჭვი და გარანტიები მოითხოვეს.

კივუს შეძენა მილანის „ინტერს“ და მადრიდის „რეალსაც“ უნდოდათ.

ბაკუნა ძიდია

უკრაინა

მე-7 ტური. ობოლონი — კარპატი 1:0; მეტალურგი — დნიპრო 3:1; ტავრია — არსენალი 1:1; ვორსკლა — კრივბასი 1:1; ვოლინი — ჩერნომორეცი 1:1; ილიჩევეცი — მ. ზაპოროჟიე 1:1; ზირკა — შახტარი 0:1; დინამო — ბორისფენი 3:0

სლოვენია

მე-7 ტური. კოპერი — ოლიმპია 1:1; პტუი — ნოვა გორიცა 2:4; სმარტნო — ცელიე 2:0; ლუბლიანა — დრავოგრადი 1:3; დომზალე — მარიბორი 0:1; აიდოვშინა — მურსკა 4:0

ბულგარეთი

I დივიზიონი

მე-4 ტური. ლიტექსი — ლევსკი 0:0; ცსკ — მაკედონსკა 4:1; ლოკომოტივი (პლ.) — ბოტევი 3:2; როდოპა — ლოკომოტივი (სოფ.) 2:1; ბელასიცა — ვიდიმა 2:2; ჩერნომორე — ჩერნომორეცი 2:2; სლავია — მარეკი 2:0; ნაფტექსი — სპარტაკი 4:1

უნგრეთი

I დივიზიონი

მე-5 ტური. სოპრონი — პეჩი 3:1; მტკ — გიორი 4:1; ვიდეოტონი — შიოფოკი 2:1; დებრეცენი — ზალაეგერსეგი 4:0; ბეკეშჩაბა — პალადასი 2:2; უიპეშტი — ფერენცვაროში 1:1

ჩილე

კლაუსურა

მე-6 ტური. აუდაქსი — პალესტინო 1:3; კობრესალი — უნივერსიდადი 3:4; სან ფელიპე — უენდერესი 1:1; უნიონი — უნივერსიდადი კათოლიკა 1:0; ტემუკო — კოკიუმბო 2:1; პუერტო მონტი — კობრელუა 2:1; უაჩიპატო — რეინჯერსი 1:3; კოლო კოლო — უნივერსიდადი დე ჩილე 1:1 (55-ე წუთზე შეწყდა)

მექსიკა

აპერტურა

მე-5 ტური. ტოლუკა — გუერეტარო 2:0; ვერაკრუზი — სან ლუისი 3:1; კრუს ასული — სანტოსი 0:2; გვადალახარა — მორელია 0:1; მონტერეი — ამერიკა 2:2; ნეკაქსა — პაჩუკა 1:1; უნამი — ატლანტე 1:1; ირაპუატო — ტიგრესი 2:0; პუებლა — ჩიაპასი 4:0; ტეკოსი — ატლასი 1:0

ხორვატია

პრემიერლიგა

მე-6 ტური. ციბალია — კამენი 1:1; ვარტექსი — ზაგრები 2:0; დინამო — პაიდუკი 1:0; რიეკა — ოსიეკი 2:0; მარსონია — სლავენი 0:0; ზადარი — ინკერი 0:0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVIII ტური

ჰაკა 2:3 იარო
ინტერი 1:1 ლაჰტი
იოკერიტი 2:4 მიუპა

ჰაკა	18	13	2	3	43:9	41
ჰიკ	18	11	4	3	34:14	37
ტამპერე	18	10	3	5	27:13	33
ალიანსი	17	9	5	3	32:22	32
მიუპა	17	9	3	5	31:18	30
ტურკუ	18	6	5	7	22:24	23
ლაჰტი	18	5	7	6	22:23	22
იარო	19	5	7	7	25:31	22
იოკერიტი	18	5	5	8	21:27	20
ინტერი	18	5	4	9	27:31	19
ჰამენლინა	18	5	4	9	16:35	19
კტპ	17	5	1	11	23:34	16
კუოპიო	18	4	4	10	21:40	16
ჯაზი	18	4	4	10	20:43	16

ნორვეგია

ტიპელიგა. XIX ტური

ლილესტრიომი 0:0 ვოლერენგა

როზენბორგი	19	14	4	1	47:14	46
ბოდიო გლიმტი	19	10	4	5	28:19	34
ოდ გრენლანდი	19	9	3	7	35:29	30
სოგნდალი	19	8	6	5	33:29	30
ვიკინგი	19	7	8	4	36:24	29
სტაბეკი	19	7	7	5	29:26	28
ბრანი	19	6	7	6	34:32	25
ლილესტრიომი	19	6	7	6	21:24	25
მოლდე	19	7	3	9	24:30	24
ბრინი	19	7	1	11	30:37	22
ვოლერენგა	19	4	8	7	19:22	20
ტრომსიო	19	5	4	10	23:41	19
ლინი	19	4	4	11	21:37	16
ალესუნდი	19	3	6	10	19:35	15

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. VI ტური

იაბლონეცი 0:0 ლიბერეცი
ზლინი 3:0 ჟიჟკოვი

ბანიკი	6	5	1	0	15:5	16
ბრნო	6	4	2	0	10:3	14
ტეპლიცე	6	3	3	0	9:4	12
სიგმა	6	3	2	1	10:5	11
სლავია	6	3	2	1	7:2	11
სპარტა	6	2	4	0	9:2	10
ლიბერეცი	6	2	4	0	5:2	10
ზლინი	6	2	2	2	5:4	8
პლზენი	6	2	1	3	7:11	7
ჟიჟკოვი	6	2	0	4	6:9	6
იაბლონეცი	6	1	3	2	3:7	6
პრჟიბრამი	6	1	2	3	7:8	5
ბუდეიოვიცე	6	1	1	4	4:11	4
ოპავა	6	1	1	4	4:14	4
სინოტი	6	0	3	3	4:9	3
ბლშანი	6	0	1	5	4:13	1

პორტუგალია

სუპერლიგა
III ტური

ბელენენსეში 1:1 ლეირია

მარიტიმუ	3	3	0	0	3:0	9
ბოავიშტა	3	2	1	0	3:0	7
ნასიონალი	3	2	0	1	6:1	6
სპორტინგი	2	2	0	0	6:3	6
ბრაგა	3	2	0	1	3:2	6
პორტუ	2	1	1	0	3:1	4
ბენფიკა	2	1	1	0	2:0	4
აკადემიკა	2	1	0	1	3:2	3
ალვერკა	3	1	0	2	1:2	3
ფერეირა	2	1	0	1	1:2	3
ბეირა მარი	3	1	0	2	1:3	3
გიმარაეში	3	1	0	2	1:3	3
მორეირენსე	3	1	0	2	1:3	3
ჟილ ვისენტე	2	0	1	1	1:2	1
ბელენენსეში	2	0	1	1	3:5	1
რიუ ავე	3	0	1	2	1:3	1
ლეირია	3	0	1	2	1:4	1
ამადორა	2	0	1	1	1:5	1

შვედეთი

ალსვენსკა. XX ტური

სუნდსვალი 0:1 იორებრო
გიოტებორგი 0:1 ელფსბორგი
მალმიო 3:2 იოსტერი
იურგორდენი 2:1 აიკ

იურგორდენი	19	14	1	4	44:15	43
მალმიო	20	11	5	4	43:18	38
ჰამარბი	20	11	5	4	36:26	38
ჰალმსტადი	20	10	3	7	33:24	33
ჰელსინგბორგი	20	9	3	8	24:28	30
იორგრიტე	20	9	3	8	28:33	30
იორებრო	20	8	5	7	24:27	29
გიოტებორგი	19	7	5	7	25:18	26
აიკ	20	7	5	8	28:30	26
ელფსბორგი	20	6	7	7	20:26	25
ლანდსკრონა	20	6	7	7	18:25	25
იოსტერი	20	3	6	11	22:37	15
სუნდსვალი	20	2	8	10	16:30	14
ენკოპინგი	20	2	5	13	18:42	11

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



„ბომბონერა“ ლამის დაინგრა

ჩილელები დაილეწნენ

ბოკა მაინც ლიდერია

არგენტინა

აპერტურა V ტური

სან ლორენცო — ატლეტიკო 1:1; არსენალი — ნიუელს ოლდ ბოიზი 3:1; კილმესი — ინდეპენდიენტე 1:1; ხიმნასია — ტალიერესი 2:2; ბოკა ხუნიორსი — ჩაკარიტა 2:2 (66-ე წუთზე შეწყდა); ოლიმპი — ესტუდიანტესი 0:0; კოლონი — ნუევა ჩიკაგო 3:1; როსარიო სენტრალი — ლანუსი 3:1; ველეს სარსფილდი — რასინგი 3:3; ბანფილდი — რივერ პლეიტი 0:0

ცუდი ამბები დატრიალდა გასულ უქმეებზე „ბომბონერას“ სტადიონზე, სადაც „ბოკა ხუნიორსი“ 66-ე წუთამდე 2:0-ს უგებდა „ჩაკარიტა ხუნიორსს“, მერე კი მსჯმა ოსკარ სეკეირამ თამაში შეწყვიტა, რადგან ფეხბურთელების უსაფრთხოებაზე პასუხს ველარ აგებდა. „ბონბონერაზე“ 50 ათასი კაცი შეკრებილიყო და ჩაკარიტელმა გულშემატკივრებმა ნაირგვარი საგნების სროლა დაუწყეს ბოკელებს, რაც მალე სახალხო ჩხუბში გადაიზარდა და ბარე 70 კაცი დაშავდა. პოლიციას არავინ დაუტუსაღებია, ცრემლსადენი გაზით გავიდა ფონს, რამაც აღაშფოთა „ჩაკარიტას“ ვიცე-პრეზიდენტი არმანდო კაპრიოტი, რომელმაც პოლიციას უმოქმედობაში დასდო ბრალი. „ბოკას“ ვიცე-პრეზიდენტმა პედრო პომპილიომ კი ჩაკარიტელები დაადანაშაულა.

პრინციპში, „ბოკა“ იოლად იგებდა ამ თამაშს, სტუმართა ავტოგოლისა და კარლოს ტევესის ბრწყინვალედ გატანილის წყალობით. მატჩის შედეგი ცხრილში ჯერ არ შესულა, მაგრამ არგენტინული ტრადიციის მიხედვით, მოგება „ბოკას“ ჩაეთვლება, რომელიც ისედაც თამაშნაკლული იყო და ახლა, ორთამაშნაკლული მაინც ლიდერობს აპერტურას სამი შეხვედრიდან ცხრა ქულით. ამდენივე ქულა აქვთ „კოლონსა“ და გამოღვიძებულ „ინდეპენდიენტეს“, რომლებიც ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩებიან „ლიდერს“.

კვლავ უხეიროდ ირჯება „რივერ პლეიტი“, რომელმაც კვლავ ვერ მოიგო, უგოლოდ დაშორდა „ბანფილდს“, მარსელო სალასი კი დაშავდა და სათუოა ჩილი — არგენტინის სანაკრებო თამაშში მისი გამოჩენა. ჩილის ნაკრები ბუენოს აირესში იწყებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს და აპერტურას ამ ტურში კიდევ ერთი კაცი მოისაკლისა. რასინგელი ნახევარმცველი პაბლო გალდამესი კარგა ხანს ვერ ითამაშებს ფეხბურთს, რადგან „ველეს სარსფილდის“ მოთამაშე მაქსიმალიანო ბუსტოსთან შეჯახებისას ფეხი მოტყდა და სამთვიანი შვებულება ელოდება. თავად თამაში კი 3:3 დასრულდა. „ველესმა“, რომელმაც აპერტურას პირველი ოთხი თამაში წააგო, ახლა 0:3-დან შემოატრიალა მატჩი. გაბრიელ მილიტოსა (2) და მიროვან მილოშევიჩის გოლებს, რონალდო სარატემ (2) და მაქსი ფლოტამ უპასუხეს.

ᲝᲚᲝᲠᲘᲝ ᲑᲣᲡᲢᲝᲡ ᲓᲝᲛᲔᲥᲘ

ბოკა ხუნიორსი	3	3	0	0	8:1	9
კოლონი	5	2	3	0	9:3	9
ინდეპენდიენტე	5	2	3	0	7:4	9
კილმესი	5	2	2	1	7:4	8
ნიუელს ოლდ ბოიზი	5	2	2	1	6:4	8
ჩაკარიტა	4	2	2	0	5:3	8
ატლეტიკო	5	2	2	1	5:5	8
როსარიო	5	2	2	1	7:8	8
რასინგი	5	1	4	0	6:5	7
ესტუდიანტესი	5	1	3	1	4:3	6
არსენალი	5	1	3	1	5:5	6
ბანფილდი	4	1	2	1	3:1	5
სან ლორენცო	5	1	2	2	5:4	5
რივერ პლეიტი	5	1	2	2	4:8	5
ტალიერესი	5	1	2	2	5:11	5
ხიმნასია	5	0	4	1	4:5	4
ლანუსი	5	0	4	1	4:6	4
ოლიმპო	5	0	3	2	3:5	3
ნუევა ჩიკაგო	5	0	2	3	4:9	2
ველეს სარსფილდი	5	0	1	4	5:12	1

კრუზეირო კუთვნილს იბრუნებს

ბრაზილია

XXIX ტური

ინტერნასიონალი — ვიტორია 0:1; ფლუმინენსე — გრემიო 2:0; ფორტალეზა — სანტოსი 0:0; კრუზეირო — გუარანი 4:1; სან პაულუ — პაისანდუ 1:0; სან კაეტანო — ვასკუ და გამა 1:0; ჟუვენტუდე — გოიასი 0:2; ფლამენგო — კორინთიანსი 1:0; კრისიუმა — ატლეტიკო პარანენსე 2:0; ბაია — პარანა 4:2; პონტე პრეტა — ფიგუეირენსე 1:1; კურიტიბა — ატლეტიკო მინეირო 2:2

ხუთი ფეხბურთელი გააძევეს „ფლუმინენსე“ — „გრემიოს“ შეხვედრაში, რომელიც „ფლუმ“ 2:0 მოიგო და მოკლე ხნის წინ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები, ცუდი ბიჭები პორტუ ალეგრიდან კვლავაც რჩებიან ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო, 24-ე ადგილზე.

ამასობაში ლიდერობა დაიბრუნა „კრუზეირომ“, რომელმაც ნახევარმცველ ალეშის ჰეთ თრიქით 4:1 მოუგო „გუარანის“, მაშინ, როცა „სანტოსი“ უგოლო ფრეს დასჯერდა მაჩანჩალა „ფორტალეზასთან“.

„ფლუს“ გამარჯვება თავდამსხმელმა მარსელომ და ნახევარმცველმა ლოპესმა მოუტანეს, თუმცა, მოგებულმა ცხრა კაცით დაასრულა თამაში, წაგებულმა კი რვით.

პირველი გააძევეს ფლუელი დიეგო, 30-ე წუთზე უხეში მოცელვისთვის. მას მალევე მიჰყვა გრემიოელი კლაუდიო მირო, ასევე მოცელვისთვის. მეორე ტაიმში გრემიოელმავე ბელოომ მეორე ყვითელი მიიღო. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ფლუელმა ზადამ და პორტუალეგრელმა კარლოს მიგელმა იჩხუბეს და ისინიც დაითხოვეს.

„ფლუს“ აკლდა სამი მატჩით დისკვალიფიცირებული 37 წლის რომარიო. ამ მოგებით კი „ფლუმინენსე“ 21-ე ადგილზე აცოცდა, 23-ეზე დარჩენილ „ფორტალეზას“ სამი ქულით გადაუსწრო, „გრემიოს“ კი ექვსით. ამ დროს კი „კრუზეირო“ ხარობს იმით, რომ ბურთების უკეთესი სხვაობით კვლავ ლიდერობს გათამაშებას. ხოლო „სანტოსის“ მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ „ფორტალეზასთან“ ვერმოგება ასე ახსნა: „ჩვენი პრობლემა ის არის, რომ უსახელო გუნდებს ზემოდან ვუყურებთ, ამიტომ ვისჯებით. ამას უნდა გადავეჩვიოთ“.

მოიგო მესამე ადგილზე მდგომმა „სან პაულუმაც“, 1:0 „პაისანდუსთან“. ეს ერთადერთი გოლი ლუიშ ფაბიანუმ გაიტანა და იგი მისთვის სეზონში მე-19 გამოდგა. მთავარმეგოლეთა ცხრილს კი ლიდერობს „გოიასელი“ დიარა, რომლის გოლებმაც კვლავ მოაგებინა გუნდს. ამჯერად „ჟუვენტუდესთან“. თუმცა დიარამ მხარი ამოიგდო და ეგებ ერთი თვეც გაუცდეს.

ბრაზილიის ორი უპოპულარულესი გუნდის შეხვედრაში კი „ფლამენგომ“ მოუგო „კორინთიანსს“ 1:0. გოლი ჟუანმა გაიტანა თავურით.

ᲚᲣᲓᲐᲣ ᲓᲣ ᲛᲝᲜᲓᲐᲣ

კრუზეირო	29	16	7	6	62:37	55
სანტოსი	29	16	7	6	52:31	55
სან პაულუ	29	15	8	6	51:37	53
კურიტიბა	29	14	8	7	48:34	50
ინტერნასიონალი	29	13	6	10	41:35	47
კრისიუმა	29	13	6	10	39:34	45
სან კაეტანო	29	11	12	6	29:22	45
მინეირო	29	11	11	7	51:43	44
ფლამენგო	29	11	8	10	42:45	41
კორინთიანსი	29	10	11	8	45:34	41
გუარანი	29	11	7	11	42:43	40
ვიტორია	29	11	7	11	36:41	40
პარანა	29	11	6	12	50:45	39
ფიგუეირენსე	29	10	8	11	32:36	38
გოიასი	29	9	10	10	44:42	37
პარანენსე	29	10	6	13	38:40	36
პაისანდუ	29	9	9	11	50:51	36
ვასკუ და გამა	29	9	9	11	35:42	36
პონტე პრეტა	29	8	11	10	39:46	31
ბაია	29	8	7	14	33:49	31
ფლუმინენსე	29	8	6	15	32:48	30
ჟუვენტუდე	29	6	8	15	26:49	29
ფორტალეზა	29	7	6	15	32:48	27
გრემიო	29	6	6	17	26:43	24

რონალდო ბრაზილიას, ორ მსოფლიოს დაპირდა

მსოფლიოს 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელი რონალდო საყვარელ საქმიანობასთან ჩამოცილებას კარგა ხანს არ აპირებს. გუშინ ბრაზილიურ გაზეთ „FOLHA DE SAO PAULO“-სთან ინტერვიუში სახელგანთქმული კიჭა ერთგულ თაყვანისმცემლებს შეპირდა, ჩემი ჯადოსნური თამაშით შვება-ლხენას კიდევ დიდხანს მოგანიჭებთო



„ამას წინათ სპორტულ მედიაში ჩემი პრესმდივნის როდრიგო პაივას სიტყვები დაიბეჭდა. თითქოს როდრიგო ამბობდა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის უკანასკნელი იქნებოდა და გერმანული მუნდიალის ჩამთავრების შემდეგ დიდ ფეხბურთთან გამომშვიდობებას ვგეგმავდი. არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამს, უბრალოდ, ჟურნალისტებმა პაივას ნათქვამს არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთეს. ჩემმა პრესმდივანმა იმათ უთხრა, რომ რონალდო 2006 წლის ჩემპიონატზე ისე ითამაშებს, თითქოს ეს ტურნირი მისთვის უკანასკნელი იყოსო. აი, სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის“ — განაცხადა მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავმა.

„რონი“ კვირას ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში კოლუმბიის ეროვნულ გუნდს შეერკინება. რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, წლევანდელი სამხრეთამერიკული შესარჩევი კიჭას ცხოვრებაში ოდენ პირველია. საქმე ისაა, რომ 1994 წლის ამერიკის ჩემპიონატისთვის ჯერ კიდევ ყმაწვილი რონალდო რონალდო ნაკრებში არ ირიცხებოდა, 1998 წლის მუნდიალზე ბრაზილია, როგორც წინა ტურნირის გამარჯვებული, პირდაპირ დაუშვეს, ხოლო შარშანდელი კორეა-იაპონიის წინასაჩემპიონატო პერიპეტიებში მონაწილეობა ოკეანისგადაღმელთა მე-9 ნომერმა ტრავმების გამო ვერ შეძლო. „2006-შიც ვითამაშებ და 2010-შიც. 7 წლის შემდეგ მხოლოდ 33-ისა ვიქნები და არა მგონია, ფეხბურთელისთვის ეს სიბერის ტოლფასი ასაკი იყოს. თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, 33-ს რანაირად მივაღწევ. არ მინდა, რომელიმე მუნდიალზე მარტო ძველი სახელის გულისთვის დამიძახონ“ — გულწრფელად აღიარა ნასარიო და ლიმამ. მერე ძველ სანაკრებო რეკორდთა შესახებაც ისაუბრა: „პელეს ბრაზილიის ნაკრების ოფიციალურ შეხვედრებში 77 გოლი აქვს გატანილი, რომარიოს — 45, ზიკოს კი — 47. თუ რაიმეს გაკეთება გინდა, ყოველთვის უმთავრესით უნდა დაიწყო და მეც პელეს რეკორდის გაუმჯობესებას ვაპირებ“. ხოლო კითხვაზე, დამდეგი შესარჩევი ძნელი იქნება თუ არაო, რონალდომ ასე უპასუხა: „ძნელი იქნება. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ბოლო ხანებში ბრაზილიის ნაკრების ტრადიციულ მოწინააღმდეგეთა საფეხბურთო დონე ფრიად ამაღლდა და ამერიკისა და კორეა-იაპონიის მუნდიალებზეც ჩვენმა გუნდმა დიდი ბრძოლების შედეგად თუ მოახერხა მოხვედრა. ახლა მთავარია, ჯგუფში თავიდანვე უპირატესობას მივაღწიოთ, რათა შესარჩევი ციკლის დასასრულს გამოუვალ სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთ“.

ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲫᲘ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲚᲘᲒᲐ“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

ᲡᲔᲥᲡᲝᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ **ᲢᲔᲚ: 32 21 21**

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

საკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



სტივენ ჯერარდი

ერიკსონის ტრავმატოლოგიური

ინგლისის ნაკრები ამ შაბათს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მაკედონიას ხვდება, ხოლო მომდევნო ოთხშაბათს ლიხტენშტაინს მასპინძლობს.

გუშინ ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ნაღვლიანად გამოაცხადა, სტივენ ჯერარდი და ტრევორ სინკლერი მაკედონიაში ვერ დაგვეხმარებიან, რაკიღა ტრავმები აწუხებთო.

ლივერპულელ ჯერარდს კოჭი უტკენია, „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველ სინკლერსაც კოჭი აწუხებს. თუმცა იმასაც ამბობენ, ოთხშაბათის მატჩისთვის ორივენი ფორმაში იქნებიანო.

სამაგიეროდ, ვერც შაბათს და ვერც ოთხშაბათს შეძლებს თამაშს მანჩესტერელი პოლ სქოულზი — ისიც ტრავმის მიზეზით.

პრობლემები აქვს სქოულზის თანაგუნდელ რიო ფერდინანდსაც, რომელსაც, სავარაუდოდ, ბირმინგემელი მეტიუ აპსონი შეცვლის.

ირაკლი ნინიძე



ჩვენი ბიჭი ჩვენთან

მაიკლ ოუენს საშობაოდ ახალ კონტრაქტს საცივივით მიართმევენ

22 თვეც და, მშვიდობით... მაიკლ ოუენს „ლივერპულთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება და ჩიტივით თავისუფალი გახდება. აი, მაშინ ნახეთ, მასზე დევნა.

მაგრამ, აბა, „ლივერპულისაც“ ვიკითხოთ, უნდა ოქროს ბიჭუნას გაშვება?

პასუხი ერთმნიშვნელოვანია: არა!

ჰოდა, ამისთვის ახლავეა საჭირო ახალ კონტრაქტზე ლაპარაკის დაწყება, რაც ლივერპულელებს განუზრახავთ კიდეც.

ოუენმა, ვინაც ამ უქმეებზე განთქმულ მერსისაიდულ დერბიში მისსავე მოედანზე ორი გოლი გაუტანა „ევერტონს“, ახალი კონტრაქტის თაობაზე თქვა: „დიახ, ვიცი, რომ კლუბს ჩემთვის ახალი კონტრაქტის შემოთავაზება სურს, მაგრამ მოლაპარაკების დაწყების კონკრეტული თარიღი ჯერ არ დაგვითქვამს. ვფიქრობ, ეს მალე მოხდება.“

ამბობენ, მოლაპარაკებები საშობაოდ დაიწყებაო და ისიც გავიხსენოთ, რომ ოუენი ახლა კვირაში 60 ათას გირვანქას იღებს.

იმასაც ამბობენ, მოლაპარაკებები შესაძლოა, ორმა გარემოებამ გაართულოსო.

პირველი: „ლივერპული“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს, რამაც ოუენს დიდად დასწყვიტა გული.

მეორე: ჟერარ ულიე გამორჩეულ ყურადღებას დაცვას უთმობს, რითაც „ლივერპულის“ შემტევი პოტენციალი კლებულობს. ეს კი ოუენის დარი ფორვარდისთვის მთლად სასიამოვნო არ უნდა იყოს.

თუმცა რაიმეს ახლავე გადაჭრით თქმა, ცხადია, შეუძლებელია.

ირაკლი ნინიძე

ახლა სხვისი დროა

ბარტეზი სკამს არ თაკილობს



ხოტორა მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე ფაბიენ ბარტეზი ისე დაჩაჩანაკდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სამატჩო განაცხადებშიც ვერ ხვდება. პრემიერლიგაში აგერ უკვე ოთხი ტური გაიმართა და სერ ალექს ფერგიუსონმა ოთხივე შეხვედრაში კარი ამერიკელ ტიმ ჰოვარდს ანდო, ხოლო სათადარიგო მეკარედ როი კეროლი ჰყავდა. ანუ, ფაბიენ ბარტეზი ახლა „იუნაიტედის“ ოდენ მესამე მეკარეა.

ცხადია, რომ ჭორიც უმალ აგორდა, აქაოდა, ფრანგ მეკარესა და შოტლანდიელ მენეჯერს შორის შავმა კატამ გაირბინაო. ამის პასუხად ბარტეზმა რადიო „ევროპა 1“-თან ინტერვიუში თქვა, ჩვენს ურთიერთობას ნორმალურს ვუწოდებ და ჩხუბის თაობაზე ხმები გაზვიადებულიაო.

„მანჩესტერიდან“ წასვლა არც მიფიქრია — დასძინა ბარტეზმა — მე პროფესიონალი ვარ და პროფესიონალები, რამდენჯერაც შემადგენლობაში ვერ მოხვდებიან, გუნდიდან არ გარბიან. უთამაშებლობას მშვიდად ვხვდები, რადგან უკვე 32 წლის ვარ, საკმაო გამოცდილება დამიგროვდა და ვიცი, რომ ამგვარ რამეებზე ნერვიულობა არაფერს შემმატებს. აი, 26 წლის რომ ვიყო, ალბათ, ძალიან ვინერვიულებდი.“

„იუნაიტედში“ ადგილის დაკარგვის მიუხედავად, ფაბიენ ბარტეზი კვლავაც საფრანგეთის ნაკრების პირველ მეკარედ რჩება და ამ შაბათს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვიპროსთან ითამაშებს.

ირაკლი ნინიძე

დაიწყეთ, თორემ ვერ დაამთავრებთ

სერია B-ს გარშემო ატეხილი ორომტრიალი კლავ გრძელდება. ამ ჩახლართულ ამბავს თავიდან არ მოვყვებით, რადგან კარგად გეცოდინებათ, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ იტალიის ლიგამ, მრავალი კლუბის უკმაყოფილების მიუხედავად, სერია B 24 გუნდამდე გაზარდა და თითქოს დავა-კამათსაც წერტილი დაუსვა, მაგრამ...

როგორც ირკვევა, 19 მომჩივანი კლუბი სულაც არ აპირებს ფარხმალის დაყრას. ასე რომ, ისედაც ერთი კვირით გადადებული სერია B-ს სტარტი ალბათ ჯერჯერობით გაურკვეველ დრომდე გაჯანჯლდება.

იქაური ფეხბურთის ლიგის ვიცე-პრეზიდენტ ანტონიო მატარეზეს თქმით, მხარეებს შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი უკლია. აი, რა განაცხადა მან რომში იტალიის ფეხბურთის ასოციაციასთან თათბირის შემდეგ: „უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, თუმცა არის ძალიან პატარა შანსი, რომ სერია B ამ შაბათს დაიწყოს. ყველა თავდაუზოგავად ვმუშაობთ და იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება. ვნახოთ, რა მოხდება ოთხშაბათს ლიგის კრებაზე“.

თუ მოკლე ხანში არ მოეღო ბოლო ამ გაუგებრობას, სერია B-ს კლუბებს კვირაში ორი მატჩის გამართვა მოუწევთ, რათა 24 გუნდამდე გაზრდილი ჩემპიონატი საჭირო დროს დაამთავრონ.

გიორგი ძაძაბაძე

იტალიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ფრანკო კარაროს 19 გუნდი უჩივის

დატვირთული დღე

„არსენალის“ ფორვარდი, ფრენსის ჯეფერსი ყოფილ კლუბს, „ევერტონს“ დაუბრუნდა — იგი გასესხებულია და სეზონის ბოლომდე ლივერპულში იქნება.

გარდა ამ ტრანსფერისა, „ევერტონის“ თავკაცმა დევიდ მოესმა, ერთ დილას „ლიდს იუნაიტედისგან“ მეკარე ნაიჯელ მარტინიც შეიძინა, ხოლო 788 400 გირვანქად ლონდონის „ფულემში“ ნახევარმცველი მარკ პემბრიჯი გაჰყიდა.

რაც შეეხება ჯეფერსის გასხვისების მიზეზს, ის მარტივი გახლდათ, ფორვარდმა, თან ტრავმებით გაწვალებულმა, ტიერი ანრისთან, სილვენ ვილტორდთან და რობერ პირესთან კონკურენციას ვერ გაუძლო. „არსენალის“ მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა ჯეფერსს ადრე ყუთში ჩამალული მელია უწოდა, წლეულს კი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში მისცა თავის გამოჩენის შანსი, შეცვლაზე შეუშვა, მაგრამ იგი გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს.

„არსენალში“ კი გადასვლამდე კი „ევერტონში“, 45 შეხვედრაში 20 გოლი შეაგდო.

ინგლისის ნაკრებში ჯეფერსმა ერთი თამაში ჩაატარა, — თებერვალში „აპტონ პარკზე“ ავსტრალიასთან.

ხოლო 37 წლის მეკარე მარტინი ინგლისის ეროვნულ გუნდში



ჯეფრი ჯეფერსი

23-ჯერ არის ნათამაშევი. მისი გაშვების შესახებ „ლიდსის“ მწვრთნელმა პიტერ რიდმა ბრძანა:

„ჩვენ ახალგაზრდა მეკარეები გვყავს და ნაწილობრივ ამიტომ გავუშვით მარტინი. მეორე მხრივ, იგი პროფესიონალია და სადმე ძირითადში თამაშს იმსახურებს“.

პაპუნა კედია

მარსელო სალასი

პიზარომ ექიმები ერთმანეთს გადაკიდა

მარსელო მარსელოს ბიჭებს ვერ ნახავს

6 სექტემბერს სამხრეთ ამერიკაში არგენტინისა და ჩილეს ნაკრებების შეხვედრით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება. როგორც ჩანს, იმ შეხვედრაში სტუმრებს ორი წამყვანი ფეხბურთელის — მარსელო სალასისა და დავიდ პიზაროს გარეშე მოუწევთ მარსელო ბიელსას შეგირდებთან შეჭიდება.

დავიდ პიზარო

რომის „ლაციოსა“ და ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილმა ფორვარდმა მარსელო სალასმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ თავის კიდევ ერთ ნასახლარში, „რივერ პლეიტში“ დაბრუნდა, მცირე ტრავმა არგენტინის ჩემპიონატში „ბანფილდთან“ მატჩში მიიღო. შეგახსენებთ, რომ სალასმა ორი წლის წინ სერიოზულად დაიზიანა მუხლი, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ მარჩელო ლიპის გუნდში იგი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, დღემდე ვერ აღიდგინა სათანადო ფორმა.

მარსელო სალასი: „არ იქნება კარგი, თუ არგენტინასთან გავრისკავ. ავჯობებს, სამი დღე მოვიცადო და პერუსთან მატჩამდე სრულად მოემჯობინდე. ჩემი ტრავმა დიდი ხნის უთამაშებლობის შედეგია. სამწუხაროდ, ეს ბევრ ფეხბურთელს ემართება“.

დავიდ პიზარო კი, რომლითაც რომის „ლაციო“ და სხვა იტალიური გრანდები იყვნენ დაინტერესებულნი, საბოლოოდ „უდინეზეში“ დარჩა და სერია A-ს პირველ ტურში „რომას“ წინააღმდეგ მოედანზეც გავიდა, მაგრამ მეორე ტაიმის დაწყებისთანავე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ახლა იტალიური კლუბის ექიმები ირწმუნებიან, პიზაროს სერიოზული ტრავმა აქვსო და მისი ნაკრებში გაშვება არ სურთ. ჩილელთა მთავარი ექიმბაში ფერნანდო რადისი კი იხტიბარს არ იტეხს და დაჟინებით ითხოვს, პიზარო ნაკრებში გამოუშვითო. „ჩვენ უსიამოვნო საუბარი გვქონდა „უდინეზეს“ ექიმებთან. თუ ფეხბურთელს თამაში არ შეეძლება, იგი არც გავა მოედანზე. ასე რომ, მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქამდე უკვე ცნობილი იყო ჩილელთა კიდევ ერთი დანაკლისის შესახებ. პაბლო გალდამესი, რომელიც სალასის დარად არგენტინის ჩემპიონატში თამაშობს, ამ უქმეებზე დაშავდა და ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება.

ეს ყველაფერი ერთიორად უადვილებს ამოცანას არგენტინის ნაკრებს. ჩილე კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონების შემდეგ 9 სექტემბერს ითამაშებს და პერუს დამარცხებას ეცდება.

გიორგი კაკაბაძე

ერაყმა შტანგმ შეაზანზარა

ბერნდ შტანგე და მისი ერაყელები გერმანიაში ემზადებიან

ბაღდადის დაბომბილი სტადიონიდან ბავარიის ზღაპრულ სასახლეებსა და ლუდის ბაღებამდე ძალიან შორია, მაგრამ ომით დასუსტებული ერაყის ნაკრები გერმანიაში რამდენიმე კვირიანი ვარჯიშით ფეხბურთში დაბრუნებას იმედოვნებს.

„ჩვენთვის აქ ყოფნა ზღაპარში მოხვედრას ჰგავს — ამბობს ერაყელთა მწვრთნელი ბერნდ შტანგე, — ადამიანურად ვარჯიშის საშუალება ექვსი თვეა არ მოგვცემია, ერაყში საშინელი პირობებია, აქ კი, რამდენიმე ბედნიერი კვირა გავატარეთ“.

რამდენიმე ბედნიერი კვირა, კერძოდ კი 18 დღე გერმანიაში 21-მა ფეხბურთელმა, პლუს ათზე მეტმა ოფიციალურმა პირმა გაატარა. გუნდი მოვლილ-მობიბინე მინდვრებზე ვარჯიშობდა და ამხანაგურ შეხვედრებში ცდიდა ძალას, ეს ყველაფერი კი მათ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა და სპორტული ეკიპირების კომპანიამ დაუფინანსეს.

შტანგე კი ის გერმანელი სპეციალისტია, რომელმაც ერაყის ეროვნული გუნდი შარშან ჩაიბარა. 1983-1988 წლებში იგი ბერლინის „ჰერტას“, ავსტრალიურ „პერთ გლორისა“ და ომანის ნაკრებს ედგა სათავეში. სხვათა შორის, დიდი ხმაური გამოიწვია შტანგეს ამ თანამდებობაზე მისვლამ, რადგან კონტრაქტზე ხელმოწერის მომენტში მას ფოტო სადამ ჰუსეინის დიდი პორტრეტის წინ გადაუღეს.

ბუნებრივია, მარტში, ერაყში ამტყდარი ომის შემდეგ გერმანელ სპეციალისტს გუნდი აღარ უნახავს და მეტიც, ამ ქვეყანაში ფეხბურთისთვის ომამდე რამდენიმე თვით ადრე არ ეცალათ და ეგ იყო. ომის შემდეგ, კერძოდ ივნისში, როდესაც შტანგემ საქმე მოიკითხა, შიშობდა, რომ ამერიკელები ყოველმხრივ შეუშლიდნენ ხელს, რადგან გერმანიის მთავრობა ამ ომის წინააღმდეგი იყო.

„არავისთვის არაფერი მითქვამს, ჩავედი და ფეხბურთელების წვრთნა განვაგრძე“ — ამბობს 55 წლის გერმანელი, რომელიც ბაღდადის სტადიონზე ასამდე ტანკის დანახვამ დაზაფრა, ხოლო მიწაში 20 მეტრიანი კრატერი დაახვედრა ყუმბარამ. შტანგეს გასახარად მის მოთამაშეთაგან არავის არაფერი დამართნოდა, თუმცა ფეხბურთელებსაც აღარ ჰგავდნენ.

„თავიდან ფეხბურთის ფედერაციაში მისვლას და კონტრაქტის ვალდებულებათაგან გათავისუფლების თხოვნას ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ, როდესაც მოთამაშეების თვალებს ჩავხედე, მივხვდი, რომ ვერსად წავიდოდი. რაც შეეხება გასამრჯელოს: როგორ შეიძლება ვინმეს ფული გამოვართვა, როდესაც ის არავის აქვს?“ — განაცხადა შტანგემ, რომელიც მავანთ ერაყში თავიდან არ მოსწონდათ, როგორც სადამის რეჟიმის „მეგობარი“, დღეს კი, როდესაც ეს კაცი ერაყული ფეხბურთის აღორძინებას ჩაუდგა სათავეში, მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

და გამოუსწორებელმა ოპტიმისტმა პირველ გამარჯვებასაც მიაღწია — 13 აგვისტოს, თეირანში, ოთხთა ტურნირზე, ირანის ნაკრებს მოუგო 1:0 (ირანი ერაყის ოდინდელი მტერი და გამაღიზიანებელია). შემდეგ მართალია, ურუგვაისთან ფინალში დამარცხდა, მაგრამ შტანგე ამბობს:

„როდესაც ირანი დავამარცხეთ, 300 ათასმა ერაყელმა კალაშნიკოვი ამოიღო და ჰაერში გაისროლა. ამერიკელებს აჯანყება ეგონათ და განგაში გამოაცხადეს, შემდეგ კი ყველაფერი გაიგეს და მიხვდნენ, თუ რას ნიშნავს ამ ქვეყნისთვის ფეხბურთი“.

ერაყელთა მთავარი მიზანი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა, ბოლოს მათი ნაკრები მუნდიალზე 1986 წელს მონაწილეობდა.

„ადრე, სადამის რეჟიმის დროს ფეხბურთელები ზეწოლას განიცდიდნენ — თქვა გუნდის კაპიტანმა, 40-ჯერ ნათამაშევმა ჰუსამ ფაკზი ნაჯიმ — წაგების შემთხვევაში გვსჯიდნენ. ვფიქრობ, ბოლო ათ წელიწადში ჩვენი ფეხბურთის წარუმატებლობა სწორედ ამით იყო განპირობებული“.

პაპუნა კედია

რა მოხდება, როცა აჰმედი საიქიოში მოხვდება

მის გამო ეგვიპტე შუაზე გაიყო. ქომაგთა ნაწილს მიაჩნია, რომ იგი ქვეყნის სიამაყეა, ზოგი კი სამშობლოს შემარცხვენელს უწოდებს. მას ინძაგებს ადარებენ. რადიკალურად განწყობილ ისლამისტებს აკანკალებთ იმის გაგონებაზე, რომ ქალივით ლამაზი ეს ყმაწვილი ევროპაში ეგვიპტის სახე გახდა.

აჰმედ ჰოსამი, ანუ მიდო, 1983 წლის 23 თებერვალს კაიროში დაიბადა. მამამისიც ფეხბურთელი იყო და „ზამალეკში" თამაშობდა, კარიერის დასრულების შემდეგ კი ბავშვებთან მუშაობდა

აჰმედ ჰოსამს სკოლა გულზე არ ეხატებოდა. სწავლის ნაცვლად მთელი დღე ბურთს ათვინიერებდა. მშობლებს ეგონათ, რომ მათი შვილი კლასში, წიგნში თავჩარგული იჯდა. მიდო კი კვირაში, ჰა, ჰა, ერთ დღეს თუ გაიმეტებდა სკოლისთვის. მისი აზრით, ეს სრულიად საკმარისი იყო.

აჰმედ ჰოსამი ბურთაობით ფულის მოხვეჭას ბავშვობაშივე მიეჩვია. ყოველი მატჩის წინ მამა სამ ეგვიპტურ ფუნტს (დაახლოებით ნახევარი ამერიკული დოლარი) აძლევდა და ეუბნებოდა, თუ მოიგებ შენიაო. მოკლედ, მიდო ნისიაზე თამაშობდა და იშვიათად მომხდარა, რომ მამისთვის ფული დაებრუნებინა.

რა უნდა ეყიდა ჰატარა ბიჭს შეკოწიწებული ფუნტებით? უკაცრავად, რა კი არა, ვინ?! დიახ, სწორედაც რომ ვინ. აჰმედი ფულით... ფოსტალიონს ყიდულობდა. მასწავლებლებისგან მისი მშობლებისადმი მიწერილ წერილებს სათავისოდ გადაწერდა და დედ-მამასთან მოქრთამულ ფოსტალიონს ატანდა. ა, კაცი! ყველაფერს ასწრებდა, რადგან იცოდა, ოდესღაც სკოლიდან, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ატესტატი უნდა აეღო.

14 წლის მიდო უკვე „ზამალეკის" ძირითად შემადგენლობას ეზიარა. თვეში 200 ევრომდე ჯამაგირს იღებდა. ყმაწვილკაცისთვის დიდძალი ფულია, მაგრამ აჰმედ ჰოსამი ხელფასს 24 საათში აორთქლებდა. ბიჭს გემოვნებით ჩაცმა უყვარდა და ფულს უმეტესად ტანსაცმელში ხარჯავდა.

მწვრთნელს აჰმედი ძალიან უყვარდა და მოფერებით მიდო შეარქვა, ისევე როგორც მის ვაუს ერქვა. ეს სახელი ეგვიპტეში ძალიან გავრცელებულია და რაოდენ უცნაურია, რომ არაფერს ნიშნავს. აი, აქედან მოდის აჰმედ ჰოსამის მიდოობა.

როდესაც „ზამალეკიდან" ბელგიურ „გენტში" გადავიდა, ჰკითხეს, როგორ მოგმართოთო. აჰმედ ჰოსამის გამოთქმით ენა არ გაიკვანძოთ, უბრალოდ, მიდო დამიძახეთო.

ბელგიაში თავიდან გაუჭირდა. ფეხბურთს ჯიგრიანად თამაშობდა, მაგრამ თავისი კაირო ენატრებოდა, სახლი და მშობლები.

ერთხელ გულშელონებულმა ყველაფერს თავი მიანება, ბარგი შეკრა და შინ დარეკა, მოვდივარ, დამხვდითო. გაგიჟდა მამა, უკან დაბრუნებაზე ფიქრი თავიდან ამოიგდეო, უთხრა. შვილის სახელის შელახვა აღელვებდა, რომ დაბრუნდეს, იტყვიან, აგერ, ევროპაში ვერ ითამაშა და კუდამოძუებული წამოვიდაო. ეს დაუშვებელი იყო. ამიტომ ერთი ნაბიჯით დაასწრო, სამსახური მიაგდო, ცოლს ხელი სტაცა და ბელგიაში დაერჭო — როგორც ჩემი აჰმედი იტანჯება, მეც ისე უნდა დავიტანჯოო. მიდოსთან დასახლდა და რთული პერიოდი გადაატანინა. „გენტის" პატრონმა ფეხბურთელის მამას სამუშაო გამოუძებნა. უფროსმა ჰოსამმა მინდვრების მორწყვა იკისრა.

მოგვიანებით, ამსტერდამში, მიდოს აღარ მოუწყენია. იქ გემრიელად ერთობოდა, გენტში კი ფეხბურთის გარდა ფეხს ვერსად გაიქნევდი. ამიტომაც ბელგიაში ყოფნისას ერთთავად ტელეფონის ყურმილზე იყო ჩამოკიდებული. ხან მშობლებს ელაქლაქებოდა, ხან მეგობრებს. მისი ჯამაგირის დიდი ნაწილიც სატელეფონო ხარჯებს მიჰქონდა.

მიდომ შესანიშნავად იცოდა, რომ „ძნელად აღსაზრდელის" იარლიყი მიაკრეს. ბელგიასა და ჰოლანდიაში ასაკით უფროსებმა მისი პატარა ბიჭივით დაჩაგვრა მოინდომეს.

აჰმედ ჰოსამი შეუპოვარი იყო. სიტყვას არავის შეარჩენდა და თავიც არავისთვის დაუხრია. ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და საკუთარი პრინციპებისთვის არასოდეს ულალატია. მიდოს ახსოვს, როგორ მიმართა ახალჩასულს ერთ-ერთმა თანაგუნდელმა გენტში: „ჯიგარ, შენ ჯერ 17 წლის ღლაპი ხარ და ისე მოიქეცი, როგორც გეუბნებიან".

ბელგიაში პრობლემები თავზესაყრელი ჰქონდა. „გენტი" თამაშს რომ მოიგებდა, მთელი გუნდი გამარჯვებას ღამის კლუბში აღნიშნავდა. ყველა ღრეობდა, მეორე დილას კი გაზეთებში მხოლოდ ერთ კაცზე წერდნენ: მიდომ ამდენი დალია, მიდომ ისე იცეკვა, მიდომ... „ასეთი შურიანი და ღვარძლიანი ხალხი არსად მინახავს" — გაიხსენა აჰმედ ჰოსამმა.

თავიდან „აიაქსშიც" იგივე ვითარება დახვდა. კერკეტობა რომ შეატყვეს, დაუყვავეს, სახელოვანი კაციაო. სახელოვანი კი აი, რატომ იყო: 2001 წლის 6 იანვარს ეროვნულ ნაკრებში 17 წლისამ ითამაშა. სულ ეგვიპტის მაისურით 26 მატჩი და 13 გოლი მიითვალა. გარდა ამისა, აფრიკის თასების თასიც მოიგო (2000). აფრიკაში საუკეთესო ფეხბურთელად, ბელგიაში კი სეზონის აღმოჩენად აღიარეს. მას ეგვიპტის ნაკრებში თვით ლეგენდარულ ჰოსამ ჰასანთან გვერდიგვერდ უთამაშია, რომელმაც სანაკრებო მატჩების რაოდენობით ლოთარ მათეუსის რეკორდი დაამხო.

გენტში მიღებული გამოცდილების შემდეგ მიდომ ამსტერდამში ტაშ-ფანდურს უკლო და ხალხში იშვიათად ჩნდებოდა.

რამდენიმე თვის წინ მან ახალი სპორტული ავტომობილი შეიძინა. კუდაბზიკობისთვის კი არა, უბრალოდ, სწრაფად ქროლვა სიამოვნებს.

„მე მომავალზე არ ვფიქრობ. მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობ. ხვალ რომ მოვკვდე, იმქვეყნად სხვებს მოვუყვები, რომ იტალიური „ჯაბახანით" დავქროდი. შვებულება ტენერიფეზე გავატარე და სასტუმროს ნომერში კვირაში 8 ათას დოლარს ვიხდიდი. მერე რა მოხდა? ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს, სიბერეში ტკბილად მომაგონდება" — თქვა მიდომ.

გენტში მიდომ სატრფო გაიჩინა. ვინმე რიგითი ბელგიელი კი არა, თვით „მის ბელგია 2000". ერთურთის სიყვარულით დნებოდნენ. დაოჯახება გადაწყვიტეს და აჰმედ ჰოსამმა ლამაზმანი მშობლებს გააცნო. მამა დაყაბულდა, შენ ვინც გიყვარს, იმასთან შეუღლდიო. მამა-შვილის ამბავში დედა ჩაერია. ბელგიელ რძალს ჩემს სახლში არ გავაჭაჭანებ, მიდოს ცოლი ეგვიპტელი მუსულმანი უნდა იყოსო.

აჰმედ ჰოსამმა დედას დაუჯერა. „მის ბელგიას" უღალატა და თვისტომ ქალზე დაქორწინდა.

მიდო: „ევროპელებს ეგვიპტზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. ჩვენთანაც ისეთი გოგოები დადიან, როგორც იქ. ჩადრჩამოფარებული შეიძლება სულ ათი პროცენტი ნახოთ, დანარჩენები კი ევროპულად იმოსებიან. ყოველთვის მრავალი თაყვანისმცემელი მყავდა. ჩემი პოპულარობის მთავარი მიზეზი ალბათ გრძელი თმაა. ეგვიპტეში ასე გრძელთმიან კაცს იშვიათად შეხვდებით".

აჰმედ ჰოსამმა ამსტერდამში გადასვლამდე იცოდა, რომ „აიაქსი" ებრაელების დაარსებული გუნდია და შესაძლოა, კლუბის ფანებს აეთვალწუნებინათ. მისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. „პალესტინისა და ისრაელის კონფლიქტი ჩემი საქმე არაა. მე აქ ფეხბურთის სათამაშოდ და „აიაქსთან" ერთად ჯილდოების მოსაგებად ჩამოვედი. მგონი, ქომაგებსაც ივივე სურთ და მათთვის სულ ერთი უნდა იყოს, ქრისტიანი ვიქნები თუ მუსულმანი" — თქვა მიდომ.

აჰმედ ჰოსამს მიაჩნია, რომ იგი განსაკუთრებულია. ბავშვობაშიც ძალიან აღიზიანებდნენ დამრიგებლები და მრჩევლები. გადაწყვეტილებას ყოველთვის თვითონ იღებდა.

„ვგრძნობ, რომ ღმერთი ყოველ ნაბიჯზე თან მახლავს, რადგან ბეჯითად ვშრომობ. სულ ასე თავდაუზოგავად ვიშრომებ და უზენაესის მადლიერი ვიქნები. როგორ დავიპყარი ევროპა? მუდამ ვცდილობდი პროფესიონალად ჩამოყალიბებას. ვიყავი მომთმენი და კარგ ჯამაგირს და მშვიდ ძილს ძირითად შემადგენლობაში თამაში მერჩივნა".

„გენტში" გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ბიჭმა „ანდერლეხტის" მწვრთნელის ყურადღება მიიპყრო. კლუბები თითქოს მორიგდნენ კიდეც ტრანსფერზე, აჰმედ ჰოსამმა კი ბოლო წამს იუარა: „მე ნამდვილად მსურდა სახელოვან გუნდში გადასვლა, მაგრამ შევიტყვე, რა თქვა ჩემზე „ანდერლეხტის" მწვრთნელმა ანტუნისიმ და კონტრაქტზე ხელი ავუკარი". გაინტერესებთ, რა თქვა ანტუნისმა? „მას ჰგონია, რომ მოედანზე ყველაფერი შეუძლია. სეზონში 20 მატჩშიც რომ ვათამაშო, მადლობა მითხრას".

მომდევნო შეხვედრა რონალდ კუმანთან ჰქონდა. „ვოლესთან" თამაშის დროს ნახევარ საათში კუმანმა შემცვალა. მატჩის შემდეგ ინტერვიუში განვაცხადე, რომ ევროპის უძლიერესი გუნდები გადასაბირებლად დამდევენ. მწვრთნელმა კლუბის უპატივცემულობაში და ღალატში დამადანაშაულა. ამსტერდამიდან აბარგება იმ დღესვე მინდოდა, მაგრამ კუმანი ისევ მენდო, მეც კარგად ვითამაშე და მწვრთნელის ქება დავიმსახურე".

მიდო ამსტერდამში მაინც არ გაჩერდა. მსუბუქად ტრავმირებულმა აჰმედ ჰოსამმა ვარჯიში გააცდინა და ღამის კლუბში ქალებთან ღლაბუცობდა. კუმანმა ეს ამბავი შეიტყო და ვიგოს „სელტაში" გაუშვა. „არაბმა პრინცმა" გაზაფხული ესპანეთში გაატარა, ამ ზაფხულს კი „მარსელის" საკუთრება გახდა. მარსელში არაბები, იცოცხლე, ბლომად არიან და ალბათ მიდოს არ გაუჭირდება. ერთი გოლის გატანა ახალ გუნდში უკვე მოასწრო, ხოლო როცა ალან პერენი აჰმედ ჰოსამს ღამის კლუბში მოცეკვავეს წააწყდება...

ვაჟა ხუციშვილი

კლებერსონს ინგლისმა აწყინა

ბრაზილიის ნაკრებს უახლოესი ერთი კვირის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ორი მატჩი ელის. 7 სექტემბერს პენტაკამპიონები კოლუმბიას სტუმრობენ, სამი დღის მერე კი ეკვადორს დაუხვდებიან. ამ შეხვედრებში თანაგუნდელებს გასულ უქმეებზე დამავებული კლებერსონი ვერ შეეწევა, მაგრამ რიდის იყო, ერთი ფეხბურთელის არყოფნა ბრაზილიელებს პრობლემას უქმნიდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები დიდი თავსატეხის წინაშე არც ახლა დგანან. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლებერსონის ნაცვლად კარლოს ალბერტო პარეირამ ნაკრებში „სანტოსის" ნახევარმცველი ელანო გამოიძახა.

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მუნდიალის ერთ-ერთი ტრიუმფატორი კლებერსონი დაახლოებით ერთი თვის წინ 5,9 მილიონ გირვანქად „ატლეტიკო პარანენსედან" „მანჩესტერ იუნიტედში" გადაბარგდა.

ბრაზილიელი ნახევარმცველი კვირას, „საუთჰემპტონთან" წაგებულ მატჩში დაშავდა. როგორც „მანჩესტერის" ვებ-გვერდი იუწყება, კლებერსონს უკვე გაუშუქეს ფეხი და საბოლოო დიაგნოზს ცოტა ხანში დაუსვამენ.

გიორგი ქაქაბაძე

კლებერსონი ვერც ალეჯს ფერგიუსონს გამოადგება და ვერც ბრაზილიის ნაკრებს

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ, გამოცდილ მბეჭდავ-ოპერატორს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 93-16-08

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური
6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	001	კრიუ-პრესტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	002	ჯილინჰემი-მილუოლი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	003	ნორვიჩი-დერბი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.00	004	რედინგი-უოლსოლი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
19.00	005	სტოკი-ბერნლი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76

შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური
6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	051	ალბიონი-ელგინი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	064	ზიგენი-აალენი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
22.00	065	ჰოფენჰაიმი-ფულენდორფი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
22.00	066	ელვერსბერგი-მაინცი(მ)	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87

ესპანეთი. I დივიზიონი. II ტური
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	124	ვალიადოლიდი-მალაგა	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
22.30	125	მურსია-რასინგი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
24.00	126	დეპორტივო-ბილბაო	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
24.00	127	მალიორკა-სარაგოსა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
24.00	128	ბეტისი-ესპანიოლი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
00.30	129	ატლეტიკო-ალბასეტე	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31

საფრანგეთი. II დივიზიონი. VII ტური
4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	146	ლავალი-გრენობლი	1,9	2,7	4,6	1,11	1,34	1,7

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	147	ანჟე-ტრუა	2,8	2,7	2,6	1,37	1,34	1,32
23.00	148	შატორუ-კრეტეი	1,85	2,8	4,6	1,11	1,31	1,74
23.00	149	გენგამი-რუანი	2,1	2,7	3,8	1,18	1,35	1,57
23.00	150	ისტრი-კლერმონი	1,8	2,8	4,8	1,09	1,3	1,76
23.00	151	ლე ავრი-ბესანსონი	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91
23.00	152	ლორიანი-ამიენი	1,9	2,8	4,4	1,13	1,32	1,71
23.00	153	ნანსი-სედანი	2,2	2,7	3,5	1,21	1,35	1,52
23.00	154	ნიორი-კანი	1,8	2,7	5,0	1,08	1,32	1,75
23.00	155	სენტ-ეტიენი-ვალანსი	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91

პორტუგალია. სუპერლიგა. III ტური
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	162	ჟილ ვისენტე-ფერეირა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72

შვეიცარია. სუპერლიგა. IX ტური
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	190	ბაზელი-სტ.გალენი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	191	ბაზელი-სტ.გალენი 0:1	1,65	3,3	3,3			
22.30	192	ქსამაქსი-სერვეტი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
22.30	193	ვილი-აარაუ	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
22.30	194	იანგ ბოისი-გრასჰოპერი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.30	195	ციურიხი-თუნი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88

ნორვეგია. I დივიზიონი. XXII ტური
7 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	219	მოსი-ოსლო ოსტი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93
19.00	220	კონგსვინგერი-რაუფოსი	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
19.00	221	პორსი-ჰოდი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
19.00	222	სტარტი-ორნი	1,45	4,4	5,0	1,09	1,12	2,34
19.00	223	ალტა-მანდალი	3,5	4,0	1,7	1,86	1,14	1,19
19.00	224	ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
19.00	225	სკეიდი-სტრომსგოდსეტი	1,85	3,8	3,1	1,24	1,15	1,7
19.00	226	ბერუმი-ფრედრიკსტადი	3,4	3,8	1,75	1,79	1,15	1,19

სლოვაკეთი. I ლიგა. VI ტური
5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	239	ჟილინა-რუჟომბეროკი	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14

ჩილე. კლაუსურა. V ტური
7 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
01.00	243	კონსეპსიონი-კოლო კოლო	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41

შოტლანდია ლიგის თასი
I ეტაპი
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	288	მორტონი-სტრანრარი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47

დანია. თასი. III ეტაპი
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	305	რანდერსი-ფკ ორჰუსი	1,35	4,4	6,5	1,03	1,11	2,62
22.00	306	ვეილე-სილკებორგი	3,0	3,8	1,9	1,67	1,16	1,26

სლოვენია. თასი
3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	309	კოპერი-პრიმორიე	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62

ევრო 2004
შესარჩევი მატჩები
6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	310	შვედეთი-სან მარინო	1,01	11,0	40,0	1	1	8;62
	311	შვედეთი-სან მარინო 0:3	1,7	5,0	2,3			
19.00	312	შოტლანდია-ფარერები	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	313	შოტლანდია-ფარერები 0:1	1,35	3,5	5,0			
19.00	314	ანდორა-ხორვატია	20,0	7,0	1,1	5,18	1,04	1
	315	ანდორა-ხორვატია 1:0	5,0	3,5	1,35			
19.00	316	აზერბაიჯანი-ფინეთი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
20.00	317	ირლანდია-რუსეთი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.00	318	საქართველო-ალბანეთი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
20.00	319	ბულგარეთი-ესტონეთი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	320	ბულგარეთი-ესტონეთი 0:1	1,65	3,3	3,3			
20.30	321	ბელარუსი-ჩეხეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
	322	ბელარუსი-ჩეხეთი 1:0	2,7	3,2	1,9			
21.00	323	სომხეთი-საბერძნეთი	4,8	3,5	1,6	2,02	1,2	1,09
21.15	324	უკრაინა-ჩრდ.ირლანდია	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	325	უკრაინა-ჩრდ.ირლანდია 0:1	1,35	3,5	5,0			
21.30	326	მაკედონია-ინგლისი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
	327	მაკედონია-ინგლისი 1:0	3,0	3,4	1,7			
21.30	328	რუმინეთი-ლუქსემბურგი	1,01	12,5	30,0	1	1	8,82
	329	რუმინეთი-ლუქსემბურგი 0:3	2,0	5,0	1,9			
22.30	330	ლატვია-პოლონეთი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.30	331	ისლანდია-გერმანია	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
23.00	332	ლიხტენშტაინი-თურქეთი	30,0	11,0	1,02	8,04	1	1
	333	ლიხტენშტაინი-თურქეთი 2:0	2,1	5,0	1,8			
23.15	334	სლოვენია-ისრაელი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.15	335	ბოსნია-ნორვეგია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.30	336	ჰოლანდია-ავსტრია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	337	ჰოლანდია-ავსტრია 0:1	1,65	3,3	3,3			
23.45	338	საფრანგეთი-კვიპროსი	1,05	9,0	25,0	1	1	6,61
	339	საფრანგეთი-კვიპროსი 0:2	1,65	5,0	2,4			
23.45	340	იტალია-უელსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	341	იტალი-უელსი 0:1	1,9	3,2	2,7			

მჩ შესარჩევი მატჩები
6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	370	არგენტინა-ჩილე	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	371	არგენტინა-ჩილე 0:1	1,75	3,2	3,0			
02.00	372	ეკვადორი-ვენესუელა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	373	ეკვადორი-ვენესუელა 0:1	2,05	3,2	2,45			
05.20	374	პერუ-პარაგვაი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57

7 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	375	ურუგვაი-ბოლივია	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	376	ურუგვაი-ბოლივია 0:1	1,75	3,2	3,0			
02.00	377	კოლუმბია-ბრაზილია	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26

ჰოკეი. გერმანია
4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	1025	დიუსელდორფი-კრეფელდი	1,8	4,2	2,9	1,26	1,11	1,71

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	1026	ჰანოვერი-ინგოლშტადი	1,75	4,4	3,0	1,25	1,1	1,78
22.30	1027	ნიურნბერგი-კიოლნი	2,0	4,2	2,5	1,35	1,11	1,56
22.30	1028	მანჰაიმი-კასელი	1,6	4,6	3,5	1,18	1,09	1,98
22.30	1029	ბერლინი-ფრანკფურტი	1,9	4,2	2,7	1,3	1,11	1,64
22.30	1030	ჰამბურგი-აუგსბურგი	1,55	4,8	3,6	1,17	1,08	2,05
23.00	1031	იზერლონი-ვოლფსბურგი	1,35	4,8	5,3	1,05	1,07	2,51

სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტ...
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა № 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდანწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ალმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

I ტაიმის შედეგი

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	5004	ვალიადოლიდი-მალაგა	2,35	2,1	4,4	1,1	1.53	1,42
23.45	5005	სოსიედადი-სელტა	2,3	2,1	4,6	1,09	1,53	1,44
24.00	5006	დეპორტივო-ბილბაო	1,85	2,35	5,6	1,03	1,39	1,65
24.00	5007	მალიორკა-სარაგოსა	2,1	2,2	5,0	1,07	1,47	1,52
00.30	5008	მურსია-რასინგი	2,5	2,1	3,8	1,14	1.5	1,35
00.30	5009	ბეტისი-ესპანიოლი	2,1	2,2	5,0	1,07	1,47	1,52
00.30	5010	ატლეტიკო-ალბასეტე	1,85	2,35	5,6	1,03	1,39	1,65

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

3 სექტემბერი

23.30	5404	ვალიადოლიდი-მალაგა	1,7	2,2
23.45	5405	სოსიედადი-სელტა	1,65	2,3
24.00	5406	დეპორტივო-ბილბაო	1,35	3,2
24.00	5407	მალიორკა-სარაგოსა	1,55	2,5
00.30	5408	მურსია-რასინგი	1,75	2,1
00.30	5409	ბეტისი-ესპანიოლი	1.5	2,6
00.30	5410	ატლეტიკო-ალბასეტე	1,35	3,2

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

3 სექტემბერი

			I-ში	თანაბრად	II-ში
23.30	5504	ვალიადოლიდი-მალაგა	3,0	2.8	2,0
23.45	5505	სოსიედადი-სელტა	3,0	2.8	2,0
24.00	5506	დეპორტივო-ბილბაო	3,0	2.8	2.0
24.00	5507	მალიორკა-სარაგოსა	3,0	2.8	2.0
00.30	5508	მურსია-რასინგი	3,0	2.8	2.0
00.30	5509	ბეტისი-ესპანიოლი	3,0	2,8	2,0
00.30	5510	ატლეტიკო-ალბასეტე	3,0	2.8	2,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

3 სექტემბერი

			კი	არა
23.30	5304	ვალიადოლიდი-მალაგა	1,7	1,9
23.45	5305	სოსიედადი-სელტა	1,7	1,9
24.00	5306	დეპორტივო-ბილბაო	1,7	1,9
24.00	5307	მალიორკა-სარაგოსა	1,7	1,9
00.30	5308	მურსია-რასინგი	1,7	1,9
00.30	5309	ბეტისი-ესპანიოლი	1,65	1,95
00.30	5310	ატლეტიკო-ალბასეტე	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

3 სექტემბერი

23.30	5204	ვალიადოლიდი-მალაგა	1,75	1,85
23.45	5205	სოსიედადი-სელტა	1,8	1.8
24.00	5206	დეპორტივო-ბილბაო	1,85	1,75
24.00	5207	მალიორკა-სარაგოსა	1,85	1,75
00.30	5208	მურსია-რასინგი	1.8	1.8
00.30	5209	ბეტისი-ესპანიოლი	1,85	1,75
00.30	5210	ატლეტიკო-ალბასეტე	1,9	1,7

3 სექტემბერი

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
23.30	5104	ვალიადოლიდი-მალაგა	2,9	10,0	20,0	4,0	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
23.45	5105	სოსიედადი-სელტა	2,7	10,0	20,0	3,8	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
24.00	5106	დეპორტივო-ბილბაო	2,0	12,0	25,0	3,4	4,6	11,0	20,0	10,0	10,0
24.00	5107	მალიორკა-სარაგოსა	2,4	10,0	20,0	3,4	4,6	8,0	20,0	10,0	7,0
00.30	5108	მურსია-რასინგი	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
00.30	5109	ბეტისი-ესპანიოლი	2,3	10,0	20,0	3,4	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
00.30	5110	ატლეტიკო-ალბასეტე	2,0	12,0	25,0	3,4	4,6	11,0	20,0	10,0	10,0

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს

მამაცაშვილი ღამით თამაშში ამხილეს

ნაცნობი დებიუტი უცნობ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობასთან აბურდული ურთიერთობის გამო საბერძნეთში ორი დღის დაგვიანებით ჩასულ გიორგი მამაცაშვილს სლოვენიაში ეულად მოუხდა გამგზავრება. ათენში ჩასულ მამაცაშვილს „ოლიმპიაკოსი“ სლოვენიურ შეკრებაზე წასული დაუხვდა, თუმც გუნდს უპრობლემოდ შეუერთდა, ოთხი ამხანაგური მატჩიდან სამში მიიღო მონაწილეობა და „ოლიმპიაკოსის“ მესვეურთა მოწონებაც დაიმსახურა

— სლოვენიიდან გუშინ ღამით ჩამოვფრინდით — გვითხრა გიორგი მამაცაშვილმა გუშინ, ათენში რომ შევეხმიანეთ — თითქმის ერთთვიანი შეკრება გავიარეთ, ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით.

— გუნდში როგორ მიგიღეს? თითქოს რაღაც პრობლემები შეგექმნა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობასთან საბერძნეთში დაბრუნებასთან დაკავშირებით...

— ჭაბუკთა ნაკრებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ათენში დათქმულზე 2 დღით გვიან ჩავედი და სლოვენიაშიც მარტოს მომიწია წასვლამ. „ოლიმპიაკოსი“ სამთო კურორტ როგლაში იმყოფებოდა. როგლა ძალიან წააგავს ბაკურიანს, ეგაა, სასტუმროებია უფრო კომფორტული და მდიდრული. გუნდში მისულს სერიოზული პრობლემა არ შემქმნია, ისე კი „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობას არ ესიამოვნა, დისციპლინა რომ დაირღვა.

— „ოლიმპიაკოსში“ ახალწვეულები დაგხვდებოდნენ, ბერძნებმა ხომ ამ ზაფხულს ბლომად კალათბურთელები შეიმატეს.

— დამხვდა ერთი-ორი ახალწვეული, სხვები მალე შემოგვიერთდებიან. „ოლიმპიაკოსი“ და სლოვენიის ნაკრები როგლაში ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, ამ გუნდებს ხომ ერთი მწვრთნელი, მლადენ სუბიტიჩი თავკაცობს. მერე სლოვენიის ნაკრები საბერძნეთში, აკროპოლისის თასზე სათამაშოდ წავიდა და სუბოტიჩიც თან გაჰყვა, ჩვენ კი „ოლიმპიაკოსის“ ერთ-ერთი მწვრთნელი იანის ფანასტისი გვავარჯიშებდა.

— ამხანაგურ მატჩებს ითამაშებდი...

— ვითამაშე და ერთი საოცარი დამთხვევაც მოხდა. თავის დროზე „სლოვანის“ ახალგაზრდულ გუნდში რომ გადავედი, ჩემი დებიუტი სლოვენიურ „პოსტოინას“ წინააღმდეგ შედგა. ახლაც ივივე განმეორდა, „ოლიმპიაკოსში“ პირველი მატჩი ისევ „პოსტოინასთან“ ვითამაშე.

— როგორი დებიუტი გამოგივიდა?

— საკმაოდ კარგად ვითამაშე. სხვათა შორის, ძალიან ბევრი ქომაგი მყავდა. პოსტოინაში ჩემი ყოფილი გუნდი „სლოვანი“ იმყოფებოდა შეკრებაზე და თითქმის ყველა მიცნობდა. მთელი თამაში ჩემს სახელს ყვიროდნენ. ბევრს უკვირდა, ასეთ ვარსკვლავებში რაღა ამ ქართველ თინეიჯერს ქომაგობენო. თამაშის შემდეგ მწვრთნელმა შემაქო, მეც, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი დავრჩი.

— „ოლიმპიაკოსის“ ყველა მატჩში ითამაშე?

— სულ 4 მატჩი გავმართეთ და მხოლოდ ერთში არ მითამაშია. პოსტოინადან კოპერში გადავედით, შემდეგ კი მარიბორის ოთხთა ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა „პივოვარნასთან“, ხორვატიულ „ზადართან“ და საბერძნეთიდან მობრუნებულ სლოვენიის ნაკრებთან ერთად. სამწუხაროდ, ამათგან მხოლოდ „პივოვარნას“ მოვუგეთ, მე კი მხოლოდ სლოვენიის ნაკრებთან არ მითამაშია.

— რომელ პოზიციაზე გაგამწესეს?

— ორ ნომერზე, მსროლელად. საერთოდ გამთამაშებელი ვარ, მაგრამ ვცდილობ, მსროლელადაც ვითამაშო ხოლმე, რადგან „ოლიმპიაკოსს“ სამი გამთამაშებელი ჰყავს და ძალაუნებურად მომავალზე ვფიქრობ. თავად ვთხოვე მწვრთნელს, მსროლელად მათამაშე-მეთქი და მითხრა, მეც მაგას ვაპირებდიო.

— რას ფიქრობ, მოხვდები „ოლიმპიაკოსის“ ძირითად შემადგენლობაში?

— სლოვენიურ შეკრებაზე ათნი ვიყავით, სამიც მოსასვლელია და ამბობენ, კიდევ ორი ამერიკელი ახალწვეული უნდა შეგვემატოსო. ნაღდად არ ვიცი, თორმეტკაციან განაცხადში თუ მოვხვდები, მაგრამ იმაში კი თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ „ოლიმპიაკოსის“ თხუთმეტკაციან გაფართოებულ შემადგენლობაში ადგილს დავიმსახურებ.

— თუ 12 კაცში ვერ მოხვდი, ალბათ ძალიან იშვიათად გათამაშებენ, შენი ასაკის კალათბურთელისთვის კი პრაქტიკა ძალიან საჭირო რამაა...

— მეც ასე ვფიქრობ და თითქოს დავაპირე კიდეც, გუნდის ხელმძღვანელობისთვის ჩემი მენეჯერის პირით მეთქვა, შედარებით სუსტ კლუბში გამანათხოვრეთ-მეთქი, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, ეგებ „ოლიმპიაკოსში“ 3-5 წუთით თამაში სჯობდეს სხვაგან 20-25 წუთით მოედანზე ყოფნას. თანაც ოლიმპიაკოსელობა ძალიან პრესტიჟულია და ასეთ კლუბს რომ შენი იმედი აქვს, ბოლომდე უნდა გამოიყენო შანსი. ამას წინათ აქაურ ჟურნალში მოზრდილი სტატია დაიწერა ჩემს შესახებ და ამ ჟურნალის რეკლამირებისას დღეში სამჯერ ტელევიზიით იმეორებდნენ ჩემს გვარს... სხვათა შორის, იმ სტატიაში ეწერა, რომ მე ღამ-ღამობით ჩემთვის ვვარჯიშობ ხოლმე. ეს მთლად ასე არაა, მაგრამ ერთხელ ღამით რატომღაც კალათბურთის თამაში მომინდა და გადაღმა ეზოში გადავედი, ერთი-ორი ვესროლე ფარში. არ ვიცი, ჟურნალისტი ცხოვრობდა ახლომახლო თუ რა იყო, პრესაში კი დაწერეს, მამაცაშვილი უკალათბურთოდ ღამეც ვერ ძლებსო.

— მაინც რას ფიქრობ, დაგიტოვებს „ოლიმპიაკოსი“, თუ შედარებით სუსტ გუნდში გაგანათხოვრებს?

გუნდიდან ორი ისეთი ახალგაზრდა გაუშვეს, რომლებიც „ოლიმპიაკოსში“ კი ირიცხებოდნენ, მაგრამ შარშანდელი სეზონის ერთი მატჩიც არ უთამაშიათ, მე კი მზრუნველობას არ მაკლებენ. ამის შემხედვარე აქაურები ამბობენ, მამაცაშვილს არ გაანათხოვრებენო.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

US OPEN

ნიუ იორკი. ᲩᲘᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡᲐ

საპრიზო 17 074 000 $

შეინახეთ იარაღი

ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲓ ᲬᲠᲔ

ᲫᲐᲚᲔᲑᲘ

ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ (2, ბელგია) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:0, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (6, აშშ) — ელენა დემენტიევა (11, რუსეთი) 6:2, 7:5; აი სუგიამა (5, იაპონია) — ფრანჩესკა სკიავონე (29, იტალია) 6:6 მატჩი გადაიდო; ანასტასია მისკინა (7, რუსეთი) — მარი პირსი (საფრანგეთი) 4:2 მატჩი გადაიდო

ფლეშინგმედოუზური სეფკორტები ამ დღეებში უიმბლდონურისას დაემგსავსა — ნიუიორკზე მოხეთქილმა წვიმამ მეოთხე წრისკენ გავაკებულ მეჩოგნეებს საჩოგნეთი წაუმურდლა და ჩოგნები გაურკვეველი ვადით დააშალითებინა.

ორად ორი მატჩი, რომლის ჩათამაშებაც, მრავალგზის შეწყვეტათა მიუხედავად იმ დღეს მაინც მოესწრო, ზემორე ჩამონთვალის თავში სწერია — ჟუსტინ ენენ-არდენმა და ჯენიფერ კაპრიატიმ ტურნირს კიდევ ორი რუსგოგო გამოაკლეს. ამასთან, თუკი ჯენის ეს ამბავი ოდნავ გაუგრძელდა, რაკილა შედარებით სახელიანი უნდა მოეშთო, ჟუსტინისთვის მარატ საფინის ალი-კვალის დაიკოს ძლევა სრული ბაირამობა გამოდგა.

ისე, ასეთი მობათქუნე, ატროკებული და შემართული კაპრიატი კარგა ხანი არავის უნახავს. მათ შორის არც მის მშობელ მამას, რომელიც ჯენის მეგობარ მსახიობ მეთიუ პერისთან ერთად თავის 27 წლის დრანცულას გაშმაგებულ ბურთაობას აშკარად გაოცებული უცქერდა.

საკითხავი მხოლოდ ის არის, შეძლებს კი ასევე შმაგად თამაშს ჯენი მომდევნო წრეებშიც, თუ მისი ანტიდემენტიევური გახელება ერთჯერადი აქცია იყო.

მეოთხედფინალში ის სუგიამასა და სკიავონეს შორის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს. ენენი კი ან მისკინას დაუპირისპირდება ანაც მარი პირსს.

სხვაფრივ — იმ დღეს ჯამში 73 მატჩი (!) ჩაიშალა. თუმცა უამრავ საწყვილოსნო და ზედაც უწლოვანთა შეხლას თუ არ გავითვალისწინებთ, სანახავი იქიდან მხოლოდ რამდენიმე გახლდათ. უწინარესად კი — მეექვსე ნომრად განთესილი ლეიტონ ჰიუიტისა და მეთერთმეტედ განთესილი პარადორნ შრიჩაფანისა, რაიც დღის უსათუო მშვენება უნდა გამომდგარიყო.

იმედია, ამ და სხვა არანაკლებ საინტერესო შეხვედრებზე უფრო წვრილად საუბარს ხვალ მაინც მოვახერხებთ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ



ᲰᲝᲛᲜᲘᲡᲐᲒ ᲑᲝᲓᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲩᲐᲘᲭᲠᲐ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ნახევარსფეროდან ათენის ოლიმპიადაზე გასული ორი გუნდის ვინაობა უკვე საკვირაო ნახევარფინალების შემდეგ გაირკვა, მაგრამ საგზურდაბეჯებულებმა სანხუანური შესარჩევი ტურნირი ბოლომდე მიიყვანეს და სიმბოლურად ჩემპიონიც გამოავლინეს. ფინალში ამერიკამ არგენტინა შეარცხვინა, მესამე საათენო საგზური კი მასპინძელმა პუერტო რიკომ კანადელებს გამოსძალა მესამე ადგილისთვის მატჩში.

მაშ ასე, დალასელი სტივ ნეშით მომართული საკმაოდ სიმპაოიური კანადის ნაკრები უოლიმპიადოდ დარჩა. „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ ორი შანსი ვერ გამოიყენეს — ნახევარფინალში ჯერ არგენტინელებისგან გაბითურდნენ, შემდეგ კი, როგორც ვთქვით, პუერტორიკოელებს დაუთმეს დარჩენილი მესამე საოლიმპიადო საგზური.

რომელიღაც წარმართული მითის თანახმად, როგორც დედამიწა დგას სამ ვეება ვეშაპზე, ისე არგენტინის ნაკრებია სამ ყოჩაღ კალათბურთელზე დაფუძნებული. მანუ ჯინობილი, ფაბრიციო ობერტო და ლუის სკოლა — ნახევარფინალში ამ ტრიომ იოლად გათელა „ნეკერჩხლის ფოთლები“ და საფინალოდ ამერიკელებთან საჭიდაოდაც გაემზადა, მაგრამ კისერი წაიტეხა. „დრიმ თიმმა“ ტურნირის საუკეთესო მატჩი სწორედ ფინალში ითამაშა და არგენტინა სან ხუანში მეორედაც დაამარცხა. შარშანდელ მუნდიალზე თავმოყვარეობაშელახულმა ამერიკელებმა ამ მოგებით საბოლოოდ ჩამორეცხეს არგენტინული სირცხვილი, ხოლო იუგოსლავიურს და ესპანურს ალბათ ათენში ჩამორეცხენ. ვნახოთ...

ფინალი კი ერთობ ჰგავდა საგამოფენო მატჩს. ამერიკელი ჟურნალისტი რომ ჩატენვებით მოიხიბლება, ეს რა ვნახეო, ესე იგი, მართლაც ძალიან თვალსასაერო თამაში უნდა ყოფილიყო.

მეორე მეოთხედის შუიდან მიყოლებული ელტონ ბრენდმა, ვინს კარტერმა ჯერმენ ონილმა და ტრეისი მაკგრეიდიმ რაგინდარა ილეთისა გამოყენებით მიჯრით ტენეს ბურთები, რითაც ამერიკას 34-ქულიანი ლიდერობა, ანუ გამარჯვება დაუბეევს.

საბოლოოდ ამერიკა მაინც შერცხვა, მაგრამ არა მოედანზე, არამედ საჩემპიონო კვარცხლბეკზე. ჯერმენ ონლი თურმე შემდეგ ტუტუცურად ამართლებდა თანაგუნდელებს და თავის თავსაც: „არავის დაურიგებია, კვარცხლბეკზე რა გვეკეთებინა, მხოლოდ ის გვითხრეს, ადითო და როცა თასი ჩავიბარეთ, უკანვე ჩამოვედით.“

ამერიკელებს არ სცოდნიათ, რომ სანამ ეროვნული ჰიმნი არ დასრულდება, არათუ არ უნდა ჩამოხვიდე კვარცხლბეკიდან, კრინტიც არ უნდა დაძრა.

პატრიოტიზმში ხომ მაინც გაჯობეთო, იტყოდნენ ცისფრად გაღებილი სამხრეთელები, მთელი თამაში საკუთარ საგომაგო სიმღერას — არგენტინელი ვარ, უკან დახევა არ მჩვევიაო... რომ მღეროდნენ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები საფრანგეთიდან იტალიაში ჩავიდა. ბორჯლალოსანებს 6 სექტემბერს იტალიათან ტესტ-მატჩი აქვთ. ქართველების ფრანგმა მწვრთნელმა ჟლოდ სორელმა მონპელიეში შეკრებაგავლილი 31-ვე მოთამაშე წაიყვანა იტალიაში. მუსიე სორელს გუშინ დავუკავშირდით

ბადრი ჯობელაძის ფოტო

შანსს ყველას მივცემ

მუსიე სორელი იმედიანადაა

— ნაკრები სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ვცდილობ, ყველას მივცე თავის გამოჩენის შანსი. ფრანგულ კლუბებთან ჩატარებულ ორ მატჩში შეკრებაზე მყოფი ყველა მოთამაშე შეძლებისდაგვარად გავსინჯე.

— შემდეგი მეტოქე იტალიაა, რომელიც მსოფლიო რაგბიში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს...

— იტალიელებს ძალიან კარგი ნაკრები ჰყავთ და მათთან თამაში ძალზე წაგვადგება. საქართველომ მიაღწია იმ დონეს, როცა უკვე ისეთ გუნდებთან თამაში სჭირდება, როგორიც „ბიარიცი" და იტალიის ნაკრებია.

— ისეთი მოთამაშე თუ დაიმატეთ, შეკრებაზე რომ არ ყოფილა?

— ჩვენთან ერთად იტალიაში არიან ვანო ნადირაძე და გოდერძი შველიძე, რომლებიც ნაკრებს იტალიაში წასვლის წინ შემოუერთდნენ. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სოსო ნიკოლაენკოს კლუბ „მონპელიეესთან" და იმედი გვაქვს, საფრანგეთში რომ დავბრუნდებით, ისიც შემოგვიერთდება.

— ვინმეს სერიოზული ტრავმა ხომ არა აქვს?

— თუ ლევან ცაბაძეს არ ჩავთვლით, რომელსაც მხარზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ პრობლემები შეექმნა, სიტუაცია ნორმალურია. ბიჭებს ძირითადად მიკრო-ტრავმები აწუხებთ.

არჩილ ბუმბურიძე

ზაზა თურმანიძე



ბადრი ჯობელაძის ფოტო

ზაზა თურმანიძე

ვამბობთ შვიდს, ვგულისხმობთ ხუთს

რამდენ ლიცენზიას აღმოაჩენენ ქართველები ამერიკაში?

გამთენიისას ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ამერიკისკენ აილო გეზი, კერძოდ, ნიუ იორკისკენ, სადაც 10-14 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება და საუკეთესო ათეულში მოხვედრილი სპორტსმენები ათენის ოლიმპიადის ლიცენზიებს მიიღებენ. ჩემპიონატის დაწყებამდე ზაზა თურმანიძის გუნდი ნიუ იორკიდან 2 საათის სავალზე დაბინავდება და ერთკვირიან ბოლო შეკრებას გაივლის. თურმანიძემ ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ბორჯომული შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ ანუ აშშ-ში გამგზავრებამდე ორიოდ დღით ადრე გაახმაურა და მის რჩეულთა გვარ-სახელებს ქვემოთ გაგაცნობთ, მანამდე კი „თავისუფალთა" მწვრთნელთან ინტერვიუს გთავაზობთ:

— როგორ გაიარა ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპი?

— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამი მოსამზადებელი შეკრება დავგეგმეთ — დავიწყეთ ბაკურიანით, სადაც უმთავრესი ყურადღება საერთო ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. შემდეგ, ბორჯომულ შეკრებაზე, ტაქტიკაზე გადავერთეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამერიკული შეკრება იქნება, რომელიც დაახლოებით ერთ კვირას გასტანს.

— კმაყოფილი ხართ თუ არა მოჭიდავეთა დღევანდელი ფორმით?

— ჩემი აზრით, გუნდი საკმაოდ კარგადაა მომზადებული, თუმც ამერიკულ შეკრებაზე ბიჭებმა კიდევ უნდა მოუმატონ. იმედია, ასეც იქნება და თითოეული მათგანი შეჯიბრს საუკეთესო ფორმაში შეხვდება.

— ტრავმა ხომ არ აწუხებს რომელიმეს?

— ბორჯომში ყოფნისას რამდენიმე სპორტსმენი მოიწამლა. ყველაზე რთული ფორმები რეზო მინდორაშვილსა და დავით პოღოსიანს ჰქონდათ, მაგრამ ამას სერიოზული გართულებები არ მოჰყოლია. ახლა ყველაფერი რიგზეა. ფიზიკური ტრავმები კი, საბედნიეროდ, არც ერთ სპორტსმენს არ აწუხებს.

— ნიუ იორკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ათენის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება. რამდენი ლიცენზიის მოპოვებაა ამჯერად შესაძლებელი?

— ცხადია, შვიდივე წონით კატეგორიაში გვინდა ათენის საგზურის მოგება და საამისოდ თავს არ დავზოგავთ, მაგრამ ალბათ რეალურად 5-6 მაინც უნდა მოვახერხოთ. ეს მნიშვნელოვანწილად იღბალზეც იქნება დამოკიდებული. გაჩნია, როგორ გაგვიმართლებს კენჭისყრა. ტურნირზე იმოქმედებს სისტემა, რომლის მიხედვითაც ერთი წაგება სპორტსმენს ტურნირს ამთავრებინებს. აქ, ალბათ, ისაც უნდა გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება გაისად გასამართ ორ საილიცენზიო ტურნირსა და ევროპის ჩემპიონატზეც შეიძლება.

— ნიუ იორკში მსოფლიოს ჩემპიონი ელდარ კურტანიძე იასპარეზებს და, ბუნებრივია, გუნდის ლიდერობასაც გასწევს. მის გარდა ვის მიიჩნევთ გუნდის ლიდერებად და, თუ რეალურად შევხედავთ, რამდენ მედალს შეიძლება ველოდოთ ჩემპიონატიდან?

— მედლებს აუცილებლად ველით, მაგრამ რამდენს, ამის პროგნოზირებისაგან თავს შეიკავებ. რაც შეეხებათ ლიდერებს, ამის შანსი თითქმის ყველა სპორტსმენს აქვს. თუ არ ჩავთვლით 55 კილოგრამ წონას, ყველა სხვა წონაში გამოცდილი მოჭიდაველები გვყავს და ნებისმიერ მათგანს შეუძლია ლიდერობა იკისროს. 55-ში კი ბესიკ გუჩაშვილი, ახალგაზრდა, ნიჭიერი და უდავოდ პერსპექტიული ახალგაზრდაა.

— დაუფინანსებლობას ხომ არ დაუმჩნევია კვალი მოსამზადებელი ეტაპებისთვის?

— ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შეგვქმნია. ჭიდაობის ფედერაცია, ოლიმპიური ფონდი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მართლაც რომ მობილიზებულნი იყვნენ, რათა ჩვენთვის ხელი შეეწყოთ. ისეთი პირობები გექონდა, მხოლოდ ვარჯიშზე უნდა გეფიქრა, ახლა კი ჯერი ჩვენზეა და ვეცდებით, ნდობა გავამართლოთ.

ბოლოს კი შევახსენებთ, რომ წინა ჩემპიონატზე ჩვენმა ნაკრებმა ერთი მედალი მოიპოვა — ელდარ კურტანიძის ოქრო. სხვა სპორტსმენთაგან კი საუკეთესო შედეგი ოთხმაგლმა აჩვენა — მეოთხე ადგილი.

ოთარ ბალლაკელიძე

საქართველოს ნაკრები

55 კგ – ბესიკ გუჩაშვილი
60 კგ – დავით პოღოსიანი
66 კგ – ოთარ თუშიშვილი
74 კგ – გელა საღირაშვილი
84 კგ – რევაზ მინდორაშვილი
96 კგ – ელდარ კურტანიძე
მძიმე – ალექსი მოდებაძე



ბადრი ჯობელაძის ფოტო

ამერიკაში ქართველების მთავარი იმედი, რა თქმა უნდა, ელდარ კურტანიძე იქნება

ორი ბორჯომი საფრანგეთამდე

თავისუფალი სტილის მოჭიდავენი ამერიკას უკვე გაემგზავრნენ და ერთ კვირაში მსოფლიოს ჩემპიონატშიც ჩაერთვებიან, „ბერძენ-რომაელთა" ნაკრებს კი თავისი მსოფლიოსთვის მოსამზადებლად კიდევ ერთი თვე რჩება. ამ ხანში ბევი დარჩიას გუნდმა ორი ბორჯომული შეკრება უნდა მოასწროს. პირველი, ორკვირიანი, ორიოდ დღის წინ დაიწყო. შემდეგ სპორტსმენები თბილისში დაბრუნდებიან, ხუთ დღეს დაისვენებენ და მეორე, 12-დღიანი შეკრებისთვის ისევ ბორჯომს მიაშურებენ.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება ჩვენებმა ჯერ კიდევ 10 ივნისს, საბერძნეთში მოწყობილი ორკვირიანი შეკრებით დაიწყეს. 1-14 აგვისტოს ბაკურიანში საერთო ფიზიკურ მომზადებაზე იმუშავეს, ბორჯომულ შეკრებებზე კი აქცენტი ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე გაკეთდება. ბევი დარჩიას თქმით, დღეისთვის სპორტსმენები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან და ბორჯომული შეკრება უფრო სასიკეთოდ წაადგებათ. მარტო ის რად ღირს, რომ ნაკრების თითოეულ წევრს იქ დაახლოებით სამ-სამი სპარინგიც გაჰყვა. რაღა თქმა უნდა, მათ შორის არიან თურქეთში თავნასახელები ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც.

ნაკრების წევრები არც ტრავმებს უჩივიან. მხოლოდ მუხრან ვახტანგაძეს აწუხებდა მუხლი, მაგრამ იგი უკვე მომჯობინებულა და ბორჯომულ შეკრებას სრული დატვირთვით გაივლის.

ოთარ ბალლაკელიძე

შელსის მეტოქეებს მაიკლ ოუენი მიაწვება

უელსის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა სტივ ჰანსენმა იმ 31 მორაგბის ვინაობა დაასახელა, ავსტრალიაში 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გაემგზავრებიან. ამ ნუსხაში ვერ იხილავთ „ლანელის" გამოცდილ მეორეხაზელ კრის ვაიტს, რომელსაც ნაკრების წითელი კვართი 36-ჯერ მოურგია. სტივ ჰენსენის განცხადებით, მას ვაიტის ბედი საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, თუმცა აღიარა, სამწუხაროდ, ნაკრებში მხოლოდ ოთხი მეორეხაზელის წაყვანა შემიძლიაო. სამაგიეროდ ჰანსენს არ უჭოჭმანია მაიკლ ოუენზე, რომელიც ნომინალური 8 ნომერია, თუმც მეორე ხაზში თამაშიც შეუძლია.

აი უელსის 31-კაციანი სია:

შერკინება: ჯონათან ტომასი, მარტინ უილიამსი, კოლინ ჩარვისი, დაფიდ ჯონსი, ალექს პოპჰემი, მაიკლ ოუენი, გარეტ ლეველი, რობერტ სიდოლი, ბრენ კოკბეინი, გეთინ ჯენკინსი, ადამ ჯონსი, დენკან ჯონსი, იესტინ ტომასი, გარეთ უილიამსი, რობინ მაკბრაიდი, ჰიუ ბენეტი, მეფინ დივაისი.

უკანა ხაზი: კევინ მორგანი, რის უილიამსი, გარეთ ევანსი, გარეთ ტომასი, მარკ ჯონსი, მარკ ტეილორი, ტომ შანკლინი, სონი პარკერი, იესტინ ჰარისი, კერი სვენი სტეფან ჯონსი, დვეინ ფილი, გარეთ კუპერი, შონ უილიამსი

კეფუ კეფამ არ გაუშვა

წლევანდელი მსოფლიოს თასის მასპინძელი ავსტრალია თავისი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ტუტაი კეფუს გარეშე დარჩა. ავსტრალიის რაგბის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, კეფუმ ვერ მოიჩინა ნატკენი კისრის მალა და 5 თვის განმავლობაში რაგბის თამაშს ვერ შეძლებსო.

„ვოლაბები" მსოფლიოს თასზე თავიანთ პირველ მატჩს 10 ოქტომბერს არგენტინელ „პუმებთან" ჩაატარებენ, რომლებიც ამ ბოლო დროს ისე მომძლავრდნენ, რომ მათთან ბრძოლა მსოფლიოს გრანდებსაც უჭირთ.

ოფიციოზი: არ ინერვიულოთ! ოპოზიცია: ინერვიულეთ!

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე საორგანიზაციო კომიტეტი ერთგვარ ანგარიშს აბარებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებს, მისიათა მეთაურებს იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან თამაშებისთვის. ახლაც, ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი სწორედ ამგვარი ანგარიშით წარდგა, რასაც საქართველოდან ესწრებოდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ოლიმპიურ სოფელში ჩვენი ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელი **ლერი საბელოვი** და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, რომლებსაც ინტერვიუ ჩამოვართვით.

ლერი საბელოვი, ზვიად ჭუმბურიძე და ემზარ ზენაიშვილი

— მართალია, ოლიმპიურ თამაშებს მთელი წელიწადი გვაშორებს, მაგრამ, ალბათ, უკვე გადაწყვეტილია დელეგაციათა ჩასვლის და დაბინავების თარიღები, სხვა საკითხებიც.

ზენაიშვილი: გამგზავრების ზუსტ თარიღზე საუბარი ჯერ ადრეა. ჩვენ გავითვალისწინებთ მწვრთნელების, მეცნიერების, ექიმების მოსაზრებებს, თუ როდის აჯობებს ჩასვლა. სავარაუდოა, რომ თამაშების გახსნამდე 4-5 დღით ან ერთი კვირით ადრე ჩავალთ.

ბაბელოვი: მეც ამ აზრს ვიზიარებ. შეიძლება, 2-3 დღით ადრე ჩასვლა საკმარისიც იყოს. თანაც სულ არ მიმაჩნია აუცილებლად ათენში მთელი სპორტული დელეგაციის ერთდროულად ჩასვლა. მრავალი ანგარიშგასაწევი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის კლიმატურისაც, ადრეული ჩასვლა ათენში ნამდვილად უარყოფითად იმოქმედებს სპორტსმენების როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მაგრამ ჩვენ მაინც დავეყრდნობით რეკომენდაციებს.

— ასეა თუ ისე, თქვენ უკვე წარმოდგენილი გექნებათ ათენში ჩასვლა. აი, გავემგზავრეთ თბილისიდან...

ბაბელოვი: გეხსომებათ, სიდნეიში ჩვენი დელეგაცია ათენის გავლით გაემგზავრა. მართალი გითხრათ, მაშინ ძალიან გამიკვირდა, ათენში ყოვლად შეუფერებელი აეროპორტი რომ ვიხილეთ — სატრანზიტო მგზავრების მოსაცდელი დარბაზიც კი არ გააჩნდათ.

როგორც მასპინძლები გვარწმუნებენ, ამჯერად ქვეყნის ავიაჭიშკართან დაკავშირებთ პრობლემები არ უნდა იყოს. ამ ორიოდე წლის წინ გახსნილი ათენის ახალი აეროპორტი მართლაც რომ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ზენაიშვილი: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დელეგაციის წევრები აეროპორტში დიდხანს არ შეყოვნდნენ და საბაჟო კონტროლი უპრობლემოდ გაიარონ. შემდეგ გავემგზავრებით ოლიმპიურ სოფელში განთავსებულ მთავარ საკრედიტაციო ცენტრში, სადაც სათანადო ფორმალობების შემდეგ დელეგაცია ოლიმპიურ სოფელში მოეწყობა. სტუმრების მისაღებად იქ უკვე ყველაფერი მზად იქნება.

— და მაინც, ოლიმპიურ თამაშებზე მთავარი სპორტული ბაზები და ოლიმპიური სოფელია...

ბაბელოვი: ოლიმპიური სოფელი, რომელიც 16 ათას სპორტსმენსა და ოფიციალურ პირზეა გათვლილი, დამთავრების სტადიაშია. ათლეტთა განკარგულებაში იქნება 370-მდე 2-4 სართულიანი კოტეჯი. ოთახში ორ-ორნი მოთავსდებიან. ერთი ბლოკი 6 კაცზეა გათვალისწინებული, რომელსაც სველი წერტილი, დიდი მისაღები და აივანიც ექნება. იმ შემთხვევაში, თუ იქ ყველაფერს გეგმაზომიერად და ხარისხიანად შეასრულებენ, საცხოვრებელი პირობები ძალზე კარგი იქნება.

ზენაიშვილი: ათენში, ცხადია, ყველა ოთახი კონდიცირებული იქნება. სოფლის მცხოვრებთ 24 საათის განმავლობაში მოემსახურება 5 200-ადგილიანი კვების ბლოკი; იქნება პოლიკლინიკა, სავარჯიშო და გასაოთობი ცენტრი...

სხვათა შორის, დელეგაციათა დღევანდელი განთავსების ვარიანტით ჩვენი უშუალო მეზობლები არიან გერმანელები და რუსები, ასევე ბერძნები, ავსტრიელები და ინგლისელები, თუმცა ეს საბოლოო არ არის. ყველაფერი დამოკიდებულია დელეგაციის წევრთა რაოდენობაზე.

— სპორტულ ინფრასტრუქტურაზე რას იტყოდით?

ბაბელოვი: საკმაოდ მტკივნეულ საკითხს მივადექით. ფაქტობრივად, დღეისთვის 37 სპორტული არენიდან, რომლებიც თამაშების მომსახურებისთვისაა გათვალისწინებული, მხოლოდ რამდენიმეა დამთავრებული. სპორტული ბაზების აბსოლუტური უმრავლესობა მშენებლობის პროცესშია. ამიტომ ზოგი შიშობს, მოესწრება თუ არა მათი დამთავრება. რა თქმა უნდა, მოესწრება, მაგრამ რამდენად მზად იქნება ამ რანგის თამაშებისთვის, ძნელი სათქმელია. „ნუ ინერვიულებთ, ყველაფერს მოვასწრებთ. მართალია, გრაფიკს ჩამოვრჩით, მაგრამ ავანაზღაურებთ. ასეთია ბერძნული ტრადიცია“ — ერთ-ერთ ინტერვიუში ირწმუნება ათენის მერი დორა ბაკოიანი.

აუტანელ ხვატში თითქმის რვა საათი გვატარეს ბაზების დასათვალიერებლად, ავტობუსიდან კი მხოლოდ ერთხელ ჩამოვედით. სამშენებლო ობიექტებს ფანჯრებიდან დაგვანახებდნენ და საპატიო წრეს შემოვუვლიდით ხოლმე. ჩვენთვის საინტერესო სპორტულ ბაზებს — ჭიდაობის, ძიუდოს, კრივის, ძალოსნობის დარბაზებს საერთოდ არ გაგვაკარეს, ჯერ დაუმთავრებელიაო. ცხადია, ყოველივე ეს საკმაოდ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.



კახი კახიაშვილი და ლერი საბელოვი

ზენაიშვილი: მსგავს შეკრებებზე ხშირად ვყოფილვარ და, როგორც წესი, ამ პერიოდისთვის ყველა სპორტული ინფრასტრუქტურა მზადაა. ჩვენ უკვე ასპარეზობისთვის გამზადებულ არენებს ვათვალიერებდით. მაშინ საუბარი იყო გასახდელების მდგომარეობაზე, ფერთა გამაზე, შეჯიბრისწინა სავარჯიშო ადგილებზე, დასვენების ოთახებზე და სხვ. ახლა საკითხავი ისაა, მშენებლობების დამთავრების შემდეგ რამდენად მოესწრება ტექნიკური აღჭურვილობის მომზადება. ყოველ შემთხვევაში, ახლახან დამთავრებულმა სატესტო შეჯიბრებებმა მრავალი ნაკლოვანება გამოავლინა. ეგ კი არა, მძღოლები შეჯიბრების ადგილს ვერ საათობით ავნებდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ გერმანიის 63-კაციანი დელეგაციის წევრები მოიწამლნენ.

ამიტომაც კრიტიკულადაა განწყობილი ოპოზიციური პრესა. „სისულელეებმა, უპასუხისმგებლობამ და დოყლაპიობამ შეიძლება ისეთი უბედურება მოგვიტანოს, „ალ-ქაიდას“ რომ არ დაესიზმრება“ — წერდა ერთ-ერთი გაზეთი.

მასპინძლები კი გვამშვიდებენ — არ ინერვიულოთ, ყველაფერი მოესწრება და რიგზე იქნებაო.

აღდგომა და ხვალეო.

— აკრედიტებული ჟურნალისტების საცხოვრებელი და სამუშაო პირობები როგორი იქნება?

ზენაიშვილი: თამაშებს მსოფლიოს 201 ქვეყნის 21 500 ჟურნალისტი გააშუქებს, მათ შორის საქართველოს ათი წარმომადგენელიც. მასპინძლები მასმედიას საცხოვრებლად შვიდ მედია სოფელს და რამდენიმე სასტუმროს თავაზობენ. როგორც იტყვიან, ფასები საკმაოდ „იკბინება“. ჟურნალისტების თხოვნის გათვალისწინებით, გვინდა, საქართველოს საელჩოს დახმარებით ხელსაყრელ ფასში ღამის გასათევი ადგილი გამოვნახოთ ისე, რომ მათ მუშაობაში ხელი არ შეეშალოთ.

— საერთოდ როგორ ემზადებიან საბერძნეთი და ათენი თამაშებისთვის?

ბაბელოვი: ქვეყანა ოლიმპიური თამაშებით ცოცხლობს. ათენი ერთ უშველებელ სამშენებლო მოედანს ჰგავს. აწესრიგებენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, კარგადაა გაკეთებული მეტროს ახალი ხაზები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა, არემონტებენ ტროტუარებს, სახლებს, ალამაზებენ ქუჩებს.

ზენაიშვილი: ვინც ბოლო 2-3 წელია, ათენში არ ყოფილა, ქალაქის ცნობა გაუჭირდება. როდესაც თამაშების მასპინძლობის უფლება ათენს მიენიჭა, ბევრი თვლიდა, რომ არასწორი არჩევანი გაკეთდა და ათენი აბსოლუტურად შეუფერებელი იყო ამ რანგის ღონისძიების მისაღებად. იგი ეგრეთ წოდებული „თავკომბალა“ დედაქალაქია, რადგან ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (5 მილიონი კაცი) აქაა თავმოყრილი, მაგრამ 4-5 წლის გრანდიოზული სამუშაოების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.

— გახშირებული ტერაქტების მერე ყველა ოლიმპიელთა უსაფრთხოებაზე ფიქრობს და ალბათ სემინარზე ამაზეც იქნებოდა საუბარი.

ზენაიშვილი: ოლიმპიადის დღეებში არა მარტო ათენის, არამედ მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უპრეცედენტო ზომებს იღებენ. 75 ორგანიზაცია და 150 ათასი კაცი უშუალოდ იქნება მობილიზებული (სიდნეიში ამ საქმით 25 ათასი კაცი იყო დაკავებული). ისინი ამერიკული და ევროპის 6 ქვეყნის შესაბამისი სამსახურების ექსპერტთა მონაწილეობით წვრთნებს გადიან. წლის ბოლომდე 600 მილიონი დოლარის სპეციალური მოწყობილობისა და ტექნიკის შეძენას ფიქრობენ.

ბაბელოვი: ახლაც, სემინარის მონაწილე თითქმის 800 კაცი მუდმივი მეთვალყურეობისა და დაცვის ქვეშ ვიყავით. როგორც შევიტყვეთ, ეს მათი საწვრთნო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ზოგიერთი დელეგაციის მიმართ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. მაგალითად, ჩვენი ებრაელი კოლეგები უშიშროების სამსახურის ჯგუფმა ლამის თვითმფრინავის ტრაპამდე მიაცილა.

— თავად ჩვენს სამზადისზე რას იტყოდით?

ბაბელოვი: დრო ძალზე ცოტაღა დავგრჩა. ასე რომ, სპორტის ყველა მუშაკს მაქსიმალური მობილიზება მართებს.

ზენაიშვილი: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი სხვა სპორტულ სტრუქტურებთან ერთად ძალზე სოლიდურად მონაწილეობს სპორტსმენთა მზადებაში, სამედიცინო უზრუნველყოფაში. ამასთან, სეოკ-ი თავის თავზე იღებს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოების შესრულებას. ეს იქნება აკრედიტაციები თუ საცხოვრებლით უზრუნველყოფა, საერთაშორისო ფედერაციებთან, სოკ-თან, სუტა-ს განიზაციო კომიტეტთან ურთიერთობა, ოლიმპიური დელეგაციის მგზავრობა, სპორტული ეკიპირება, სპეციალური ბუკლეტის მომზადება და ა.შ. უკვე შევუკვეთეთ ორი სახის სამკერდე ნიშნები. საჭიროდ ჩავთვალეთ და ჩვენს თავზე ავიღეთ საქართველოს სპორტული დელეგაციის სპეციალური საშეკიბრო აღკაზმულობით უზრუნველყოფა. დაახლოებით 40-45 კომპლექტს მოგვაწვდის „ადიდასი“. სეოკ-ის მუშა ჯგუფი ამ დღეებში განიხილავს ფრანგი და ინგლისელი დიზაინერების მიერ შესრულებული ჩვენი დელეგაციის ჩაცმულობის საკითხს.

— ათენში ალბათ საქართველოს საელჩოშიც გექნებოდათ შეხვედრები.

ბაბელოვი: დიახ, თანაც რამდენჯერმე.

ზენაიშვილი: ნამდვილად აღსანიშნავია ის ყურადღება და დახმარების გაწევის დიდი სურვილი, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ჩვენი სპორტსმენების მიმართ იჩენს საქართველოს ელჩი საბერძნეთში ზვიად ჭუმბურიძე. იგი სულ რამდენიმე თვეა, თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მაგრამ უკვე მოასწრო თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში შეხვედრა, ისევე როგორც სეოკ-ში და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში. ერთობლივად საკმაოდ საინტერესო მონახაზი გავაკეთეთ და ვფიქრობთ, საელჩოს სახით საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას დიდი შემწე ეყოლება. ამასთან ელჩი ჩვენთან ერთად ცდილობს ათენში საოლიმპიადოდ „ქართული სახლის“ პრობლემის გადაწყვეტას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულიზაციას.

— კახი კახიაშვილს ხომ არ შეხვედრიხართ?

ბაბელოვი: მიუხედავად იმისა, რომ ნოემბერში კანადაში დაგეგმილი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კახი ინტენსიურად ემზადება, მან მაინც მოახერხა ჩვენთან რამდენჯერმე შეხვედრა და ვახშამზეც დაგვპატიჟა. იგი სერიოზულად ემზადება მეოთხე ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებლად.

ზენაიშვილი: მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი კახის ერთი წიგნი უკვე გამოვიდა. ახლა მის მეორე, გადამუშავებულ გამოცემაზე მუშაობს. ამ მშვენიერი გამოცემის ერთი ეგზემპლარი მან საქართველოს ოლიმპიურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გამოუგზავნა.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პერსონალის გულთბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ეოკ-თა წარმომადგენლების მიმართ. განსაკუთრებით მინდა ირინა მატოიანი გამოვყო — ჩვენი ცნობილი მესტენდურისა და მწვრთნელის თემურ მატოიანის ქალიშვილი. თავად ბატონი თემური სროლაში საბერძნეთის ნაკრებს წარმატებით ამზადებს ოლიმპიური თამაშებისთვის, ხოლო ირინა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში მუშაობს და აზიის ქვეყნების ეოკ-თა კოორდინატორია. მას საოცრად დიდ პატივს სცემენ როგორც მისი კოლეგები, ისე იმ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები, რომლებთანაც ის მუშაობს, მათ შორის იაპონელებთან, ინდოელებთან და სხვებთან.

ანა ბერიძე

მსოფლიოს ჩემპიონატი პარიზი. 23 - 31 აგვისტო

საყოველთაო მოლოდინი და მძლეოსნობის მამების შიში გამართლდა – ამ ჯვირას დამთავრებული პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი ვერ გამოდგა, მძლეოსნობას პოპულარობას რომ შეჰმატებდა. ბევრი ვარსკვლავი ჩაქრა და რეკორდიც მხოლოდ ერთი დამყარდა ისიც ყველაზე ულიმლამო სახეობაში – 50 კილომეტრ სპორტულ სიარულში ახალი თაობა კი მაინცდამაინც დიდ იმედებს ვერ ტოვებს

4ჩ100 მეტრის დრამატული ფინალი: ამერიკელმა ჯოშუა ჯეი ჯეისონმა სულ 0.02 წამით მიასწრო ბრიტანელ დუეინ ჩამბერსს

რამ შეშალა მსოფლიო?

ამერიკა 20 მედალს და 10 ოქროს ტირის

მედლების მარათონში ამერიკის გამარჯვება არ იყო მოულოდნელი, მაგრამ თავად ამერიკელები მაინც გაწბილებულები ჩანან, ყველაფერი გეგმისდა მიხედვით ვერ გამოუვიდათ. მათმა მამრმა სპრინტერებმა სრული კრახი განიცადეს ჩემპიონატის ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში 100 მეტრში, რომელსაც ამერიკელები თავისად თვლიდნენ და სამართლიანადაც. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მორის გრინი ტრავმის გამო ფინალშიც კი ვერ გავიდა, ხოლო მსოფლიო რეკორდსმენმა ტიმ მონტგომერიმ მხოლოდ მეხუთემ გადაკვეთა ფინიში. ვერც სხვა რომელიმე მათიანმა დაიკიდა რაგინდარა სინ ჯის მედალი, 100 მეტრის კვარცხლბეკი ვიღაც კარიბელი ბიჭებმა დაიკავეს, რომელთა ქვეყნის სახელის დამახსოვრებასაც კი თავის ატკივება სჭირდება.

ხოლო 100 მეტრის ფინალამდე ამ სახეობის საკვალიფიკაციო გარბენში ამერიკელმავე ჯონ დრამონდმა ორი ფალსტარტის შემდეგ უარი განაცხადა წესს დამორჩილებოდა, სარბენი ბილიკიდან არ გავიდა და ბარე საათით შეაფერხა რბოლები, თანაც კი სპექტაკლიც გამართა.

ქალებში ამერკელმა კელი ვაიტმა 100 მეტრიც მოიგო და 200-იც, მაგრამ როგორც მერე აღმოჩნდა სტიმულატორების დახმარებით და ვინძლო ეს ორივე ოქრო დაკარგოს. ასეთ შემთხვევაში კი ამერიკა დაკარგავს პირველ ადგილს შედეგთა დაფაზე, რაკი მეორე ადგილზე გასული რუსები მათ მხოლოდ ერთი მედლით ჩამორჩებიან.

ამერიკელებს გუნება გამოუკეთა ჩემპიონატის ბოლოს გამართულმა ესტაფეტებმა. აქ მათ ქალთა და კაცთა ოთხი სახეობიდან სამი ოქრო და ერთიც ვერცხლი ამოიღეს და რაც მთავარია, მოიგეს 4X100 მეტრი კაცებში. ეს გარბენი ულიმლამო ჩემპიონატის მშვენება იყო. ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ტრადიციულად სასეირო ბრძოლა გააჩაღეს და საბოლოოდ ოკეანგაღმელმა ჯოშუა ჯეი ჯონსონმა 0,02 წამით მიასწრო მოზვერა კუნძულელ დუეინ ჩამბერსს.

მეორე გუნდური ადგილი, როგორც მოგახსენეთ რუსებს დარჩათ 19 მედლით და აქედან ექვსი ოქროთი. განსაკუთრებით რუსმა დედაკაცებმა ივაჟკაცეს, კაცთა კინკილა ბრჭყვიალა წილ მათი მონაგარი ერთბაშად 5 ოქროა.

მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯს დიდი შანსი ჰქონდა, ჩემპიონატის გმირი გამხდარიყო. თანაც ფრანგული პუბლიკა მართლა გმირივით შეხვდებოდა „ფრანგული“ აფრიკის შვილს, მაგრამ ჰიშამმა გმირობა მხოლოდ „სანახევროდ“ შეძლო. გარდა იმისა, რომ კნაჭა მაღრიბელმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო 1 500 მეტრი — რაც უკვე მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდია — მან ლამის 5 000 მეტრზეც იჩემპიონა. ეს ორი დისციპლინა კი ერთ ტურნირზე მხოლოდ ფინელმა პაავო ნურმიმ მოიგო, თანაც შორეულ 1924 წელს პარიზის ოლიმპიადაზე .

5 000 მეტრზე ფავორიტად 1 500-ელი ჰიშამის გარდა 10 000 მეტრის მომგები ეთიოპიელი კენენისა ბეკელე ითვლებოდა. მედალი ორივეს შეხვდა, მაგრამ არა იმ ფერის, როგორსაც პირველ რიგში ისურვებდნენ. 5 კილომეტრი ვერ მოიგეს „მეზობელი“ დისტანციების წარმომადგენლებმა. აქ ჩემპიონობა პირტიტველა და ჯერაც ქუსლდაუკოჟრავ კენიელ ყმაწვილს ელიუტ კიპჩოგს შეხვდა.

5-კილომეტრიანი გარბენის დასკვნითი მეტრები კი მართლაც ნახვად ღირდა. კიპჩოგმა და ელ გურუჯმა ბოლო სწორზე ისეთი სპრინტი გააჩაღეს, უმოკლეს დისტანციებზე იშვიათად ნახავს კაცი. კენიელმა მხოლოდ 0,04 წამით მიასწრო მაროკოელს, რაც კისრის ერთი წაგრძელების ფასი „მანძილია“.

კენიელებს კენიელების წილი შეხვდათ, მაროკოსაც თავისი ერგო. ან ამერიკამ რატომ უნდა იწუწუნოს შინ 20 მედალი და 10 ოქრო წაიღეს. პარიზი ყველაზე წამურდლული სახით ფინელებმა დატოვეს. მათ მედალიც კი არ შეხვდათ. არადა ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი 2005 წელს მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატს მასპინძლობს. რას იტყვის სამყარო, სადღა გამოყოფენ ფინელები თავს, როცა ვინმე შეეკითხებათ, ამ ხელა პატივი მძლეოსნობისთვის რა სამსახურის გაწევრისთვის გერგოთო.

ირაკლი ფირაშვილი

ჟმეყანაია მონაგარი

	ო	ვ	ბ	სულ
1 აშშ	10	8	2	20
2 რუსეთი	6	8	5	19
3 ეთიოპია	3	2	2	7
4 ბელარუსი	3	1	3	7
5 საფრანგეთი	2	3	2	7
6 შვედეთი	2	1	2	5
7 კენია	2	1	1	4
სამხრეთ აფრიკა	2	1	1	4
9 მაროკო	2	1	0	3
10 საბერძნეთი	1	1	2	4



კელი ვაიტი

პირველი სისხლი

მსოფლიოს ჩემპიონი დოპინგზე ჩავარდა

საზოგადოდ პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატმა არაერთხელ გაწბილა ყოჩაღი ამერიკელები. ამიტომაც ოკეანგაღმელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს კელი ვაიტის ორი ოქრო პრესტიჟულ 100 და 200 მეტრზე.

მაგრამ ზეიმი დიდხანს არ გაუგრძელდათ. IAAF-მა მალევე გამოაფინა სენსაციური ცნობა. თანამედროვე მსოფლიოს უყოჩაღესი მორბენალი ქალი მთლად სუფთა როდი ყოფილა სინდისთან და, თუკი სინდისს მიაფურთხებს, სამძლეოსნო და საერთოდ სპორტულ წესდებასთან. იგი ამ შაბათს დოპინგკონტროლზე ჩავარდა. კელი ვაიტი თურმე თავისი ტან-ფეხის ასაჩქარებლად იყენებდა ამგზნებ საშუალება მოდაფინილს. ეს პრეპარატები არ შედის IAAF-ის მიერ ნებადართული წამლების სიაში, ასე რომ...

აი, თურმე რა ოინებს იყენებდა კელი ვაიტი. გაჩემპიონებამდე მისი შიშნარევი წინასწარი განცხადებები გამოფიტულობასა და გადაღლილობაზე შემთხვევითი არ ყოფილა. იგი ან გულშემატკივრებს თვალში ნაცარს აყრიდა, ანაც უბრალოდ, ენას იფხანდა და თავს იკატუნებდა. ახლა ყველა გაფაციცებით ელის განმეორებით დოპინგტესტს, ყველაზე მეტად კი, რა ძნელი გამოსაცნობია და, თავად კელი ვაიტი. თუკი ტესტმა კვლავ დადებითი შედეგი აჩვენა, ვაიტი არამარტო დაკარგავს ჯერაც თბილ მსოფლიო ოქროებს, არამედ ორი წლით დაემშვიდობება თავისი ხელობით რაიმე ჯილდოს მოპოვების და საერთოდ სავსე ტრიბუნების შინ სირბილის უფლებას.

დიმიტრი კალანდაძე

ყველა ჩემპიონი

კაცები

100 მ
კიმ კოლინზი (სენტ კიტსი)
200 მ
ჯონ კაპელი (აშშ)
400 მ
ჯერომ იანგი (აშშ)
800 მ
ჯაბარ საიდ-გუელნი (ალჟირი)
1 500 მ
ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო)
5 000 მ
ელუიდ კიპჩოგი (კენია)
10 000 მ
კენენისა ბაკელე (ეთიოპია)
მარათონი
ხაუად ლარიბი (მაროკო)
3 000 მ წინაღობებით
საიფ სააიდ შაჰენი (ყატარი)
110 მ თარჯრბენი
ალენ ჯონსონი (აშშ)
400 მ თარჯრბენი
ფელიქს სანჩესი (დომინიკელთა რესპუბლიკა)
სიმაღლეზე ხტომა
შაკ ფრეიტაგი (სამხრეთ აფრიკა)
ჭოკით ხტომა
ჯუზეპე ჯიბილასკო (იტალია)
სიგრძეზე ხტომა
დუაიტ ფილიპსი (აშშ)
სამხტომი
კრისტიან ოლსონი (შვედეთი)
ბირთვის კვრა
ანდრეი მიხნევიჩი (ბელარუსი)
ბადროს ტყორცნა
ვირგილიუს ალეძნა (ლიტვა)
უროს ტყორცნა
ივან ტიხონი (ბელარუსი)
შუბის ტყორცნა
სერგეი მაკაროვი (რუსეთი)
ათჭიდი
ტომ პაპასი (აშშ)
20 კმ სპორტული სიარული
ჯეფერსონ პერესი (ეკვადორი)
50 კმ სპორტული სიარული
რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი)
4X100 მ
აშშ (ჯონ კაპელი, ბერნარდ უილიამსი, დერვის პატონი, ჯოშუა ჯეი ჯონსონი)
4X400 მ
აშშ (კელვინ ჰარისონი, ტირი ვაშინგტონი, დერიკ ბრიუ, ჯერომ იანგი)

ქალები

100 მ
კელი ვაიტი (აშშ)
200 მ
კელი ვაიტი (აშშ)
400 მ
ანა გევარა (მექსიკა)
800 მ
მარია მუტოლა (მოზამბიკი)
1 500 მ
ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი)
5 000 მ
ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია)
10 000 მ
ბერჰანი ადერე (ეთიოპია)
მარათონი
კატერინ ნდერება (კენია)
100 მ თარჯრბენი
პერდიტა ფელისიენი (კანადა)
400 მ თარჯრბენი
იანა პიტმენი (ავსტრალია)
სიმაღლეზე ხტომა
ჰესტრი კლეიტე (ს. აფრიკა)
ჭოკით ხტომა
სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი)
სიგრძეზე ხტომა
იუნის ბარბერი (საფრანგეთი)
სამხტომი
ტატიანა ლებედევა (რუსეთი)
ბირთვის კვრა
სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი)
ბადროს ტყორცნა
ირინა იატჩენკო (ბელარუსი)
უროს ტყორცნა
იფსი მორენო (კუბა)
შუბის ტყორცნა
მირელა მანიანი (საბერძნეთი)
შვიდჭიდი
კაროლინა კლუფტი (შვედეთი)
20 კმ სპორტული სიარული
ელენა ნიკოლაევა (რუსეთი)
4X100 მ
საფრანგეთი (პატრისია ჟირარი, მიურიე არტი, სილვიან ფელიქსი, კრისტინ არონი)
4X400 მ
აშშ (მელისა ბარბერი, დემეტრია ვაშინგტონი, ერლ მაილს კლარკი, სანია რიჩარდსი)

თასი ბიჭებს

ამერიკის საკალათბურთო ნაკრებმა, რა თქმა უნდა, მოიგო პუერტო რიკოში ჩატარებული შესარჩევი ტურნირი, ათენის ოლიმპიადის საგზურებს რომ უბყვებდა სამ გუნდს. თასი სიმბოლური იყო და მას მსწრაფლ ეტაკნენ ჯეისონ კიდის ძე თი ჯეი (მარჯვნივ) და ალენ აივერსონ უმცროსი.

REUTERS ზაგრებიდან

ნაჩუქრის ნაჩუქარი

თხილამურობის მსოფლიო ჩემპიონი, ხორვატი იანიცა კოსტელიჩი დევიდ ბექემის სანაკრებო მაისურით იწონებს თავს. საქმე ის არის, რომ ხორვატიის ნაკრებმა ათი დღის წინ ითამაშა ინგლისის ნაკრებთან და ეს მაისურა ბექჰემს ხორვატთა კაპიტან ბორის ჟივკოვიჩისთვის გაუცვლია. ბორისმა კი იანიცასთვის ეჩუქნია.

მართლა შავები

ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრები „ოლ ბლექსი" „ადიდასის" სარეკლამო ამბავში ჩაერთო მსოფლიო თასის წინ და მართლაც გაშავდა. გუნდი თავით ფეხებამდე შავ საღებავში ამოითხუპნა, რათა თეთრ კედელზე თავიანთი კვალი დაეტოვებინა.

REUTERS ოკლენდიდან

რიოს ნახევრადმარათონი



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

რიო დე ჟანეიროში განთქმული ნახევრადმარათონი ჩატარდა. სან კონრადოს სანაპიროს ათასობით მოყვარული თუ ნამდვილი მორბენალი გამოყვა. ქალთა 21 კილომეტრი ბრაზილიელმავე მარსეტე რესენდემ მოიგო, კაცებისა კი კენიელმა ფილიპ რუგუტმა, რომელსაც შუა რბენისას წინ ტიტველა ბიჭი გამოუხტა, რომელსაც პოლიციამ დაავლო ხელი და გზას გააშორა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მინ[illegible]აული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge